

ბრძოლა შუქურებისთვის გრძელდება

A3



სულხან მოლაშვილი "მეცნიოვნეებს" არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს

A4



ფლიჩიტა, პიცა, ლამაზ-ლამაზი ბიჭები...

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 17 იანვარი, 2006 წელი. №8 (1160) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### მადლიერი პრემიერ-მინისტრი

სერიალი სათაურით "პრემიერის მადლობა მინისტრებს" - გრძელდება. ენერგეტიკის მინისტრის შემდეგ პრემიერ-მინისტრის შექება ალექსიშვილის უწყებამ მიიღო. ზურაბ ნოღაიდელი ფინანსთა სამინისტროს გასული წლის მუშაობით კმაყოფილია.

A2

## სამართალი

### ასლან აბაშიძის დროინდელ ჩინოსანს განაჩენი გამოუტანეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს გოგი კუპრეიშვილს, რომელსაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ეს განაჩენი საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება. მსჯავრდებულის ადვოკატი გუშინდელი განაჩენის გასაჩივრებას ჯერ ზემდგომ ინსტანციაში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ კი სტრასბურგის სასამართლოში აპირებს.

A4

## სპორტი

### ვინუსი სამშობლოში გაისტუმრეს

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა, რომ პირველი სენსაცია დაფიქსირდა. ქალთა თანრიგში ბულგარელმა სვეტლანა პირონკოვამ სამ სეტში დაამარცხა (2:6, 6:0, 9:7) ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მეათე ნომრად განთესილი ამერიკელი ვინუს უილიამსი.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 17/01 | 18 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 5 |
| ტყიბული | 7 | 6 |
| სოხუმი | 7 | 6 |
| დმანისი | -1 | 0 |
| გორი | 4 | 4 |
| გორი | 4 | 4 |
| ონი | 1 | -2 |
| ზუგდიდი | 8 | 7 |
| ახმეტა | 6 | 5 |
| გაგრა | 5 | 2 |
| სამტრედია | 8 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8005 |
| ევრო | 2.1869 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1964 |
| რუბლი | 0.0636 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |

# ბზარები სტრატეგიულ სამხედრო პარტნიორებთან თანამშრომლობაში

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

*16 იანვარს თბილისში ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობის 5-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა. ასეთი წარმომადგენლობითი სამხედრო დელეგაციის ვიზიტის მიზანი პრესისათვის გასაიდუმლოებული დარჩა. კულუარული ინფორმაციით, ამერიკელი სამხედროები საქართველოში ჩამოიყვანა მეტად არატიპურმა გარემოებამ - საქმე ეხება საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის საჩივარს, რომელშიც უკმაყოფილებაა გამოთქმული ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ქართველი რეკრუტების გაწვრთნის ხარისხის მიმართ.*

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პოლკოვნიკმა ლევან ნიკოლეიშვილმა პენტაგონის ხელძღვანელობას საჩივრის წერილი გასული წლის ნოემბრის ბოლოს მისწერა. საქართველოს გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა, კერძოდ, უკმაყოფილოა ამერიკული დახმარების პროგრამის - "სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის"(SSOP) - ფარგლებში ქართველი რეკრუტების მომზადებისა და ამერიკელების მიერ კრწანისის სასწავლო ცენტრში დაპროექტებული შენობა-ნაგებობების გამძლეობის ხარისხით.

სარწმუნო წყაროების მიერ მოწოდებულ ამ ინფორმაციას საქართველოს სამხედრო უწყება კომენტარს, ჯერჯერობით, არ უკეთებს, თუმცა ფაქტია, რომ ქართულმა მხარემ "ნაჩუქარი ცხენისათვის" კბილის გასინჯვა გაცილებით ადრე დაიწყო, რასაც რიგ შემთხვევაში მართლაც აქვს გამართლება და ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს პარტნიორების უპატივცემულობად. თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ. ახლა კი, უბრალოდ, გავიხსენოთ ასეთი შემთხვევები:

- 2005 წელს საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ უმრავლეს შემთხვევაში უარი თქვა სამუშაო ადგილებით უზრუნველეყო ის ქართველი ოფიცრები, რომლებაც სასწავლო პრაქტიკა აშშ-სა და გერმანიის პრესტიჟულ სამხედრო სასწავლებლებში გაიარეს. 27 ოქტომბერს პარლამენტის წინაშე გამოსვლის დროს, თავდაცვის მინისტრმა ასეთი ქმედება ორი გარემოებით ახსნა: ოფიცრები სასწავლო მივლინებით იგზავნებოდნენ პირადი ნაცნობობით და ზოგჯერ პოლკოვნიკის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა სერჟანტისას. პოლკოვნიკის სერჟანტის თანამდებობაზე დანიშვნას კი კანონი არ ითვალისწინებს.

- შარშან ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული "კომანდოსთა" ბატალიონი დატოვა და ახალი კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა 200-მა პროფესიონალმა სამხედრო მოსამსახურემ. 2002 წელს, როდესაც სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობა იწყებოდა, ამერიკის მხარე მოითხოვდა საქართველოსაგან, რომ მაქსიმალურად შეენარჩუნებინა კონტინგენტი და არ დაეშვა საკადრო დენადობა პროფესიონალთა რიგებში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჭავჭავაძეების მამულს ნატო ვაჩნაძის სახელობის კინო-თეატრი მიჰყვება

*საპრივატიზაციო დოღი კახეთშიც დაიწყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შემდეგ, დღის წესრიგში კულტურის ცენტრების გაყიდვაც დგება. ამჯერად მყიდველი ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრს და სოფელ ვაზისუბნის კულტურის ცენტრს გამოუჩნდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება გურჯაანის გამგეობამ და ქართულმა ფილმმა მიიღო.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთის რეგიონში გურჯაანი პირველია, რომელმაც ქონებისა და ეკონომიკის სამინისტროებს მხარი აუბა. დღის წესრიგში ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრის გაყიდვა დადგა. რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, აკაკი სიხარულიძის თქმით, ნატო ვაჩნაძის სახელობის კინოთეატრის გაყიდვა იმ მიზეზით ხდება, რომ მის შეკეთებას და მოვლას სახელმწიფო ვერ ახერხებს. მისივე თქმით, აღნიშნული ობიექტი კინოსტუდია "ქართული ფილმის" ბალანსზე ირიცხება და ეს წინადადებაც მათგან მოდის. **"პრეზიდენტის თქმით, კინოთეატრები უნდა გადაეცეს რაიონებს და მოხდეს მათი გაცოცხლება. მინდა გითხრათ, რომ ესაა ნახევრად მკვდარი ობიექტები. თუ ინვესტორის მხრიდან ყველა პირობა ჩვენთვის მისაღები იქნება და ობიექტები განახლდება, მაშინ, ვფიქრობ, გასხვისების ან გაყიდვის წინააღმდეგი არავინ იქნება. რაც შეეხება კონკრეტულად ფასს, ის ჯერ არ არის დადგენილი. ეს საკითხი პრივატიზაციისა და ქონების მართვის სამსახურის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოგვარდება. თანხა ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით დასახელდება," -** ამბობს აკაკი სიხარულიძე.

მართალია, აღნიშნული დაწესებულების გაყიდვა ქართულ ფილმთან შეთანხმებით ხდება, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია ნატო ვაჩნაძის შვილებისთვის "24 საათის" საშუალებით გახდა ცნობილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საპარლამენტო "გაზაფხულის" მოლოდინში

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ბიუროს სხდომა გუშინ "იძულებით" ჩატარდა: იანვარში კანონმდებლები არაოფიციალურ შვებულებაში იმყოფებიან, მაგრამ რეგლამენტი ავალდებულებთ, ბიუროს სხდომაზე თვეში ორჯერ მაინც შეიკრიბონ. საახალწლო, არასამუშაო განწყობა პარლამენტარებს, ალბათ, კიდევ დიდხანს გაჰყვებათ, ვინაიდან საგაზაფხულო სესიამდე ჯერ საკმაო დროა. ის 7 თებერვალს იხსნება, პირველი პლენარული სხდომა კი მხოლოდ 14 თებერვალს გაიმართება.

მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ორგანოში უკვე "გამოცოცხლების ნიშნები" შეიმჩნევა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სესიის გახსნისთანავე დეპუტატებს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ: პარლამენტი თავის პირველივე პლენარულ სხდომაზე რუსი სამშვიდობოების შესახებ გასული წლის ოქტომბერში მიღებულ დადგენილებას მიუბრუნდება.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბიუროს "სავალდებულო" სხდომა.

# შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება

*ქართული მხარის დიდი მცდელობის მიუხედავად, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება. სხდომის თბილისში გამართვაზე ოსური მხარის თანათავმჯდომარემ ბორის ჩოჩიევმა უარი განაცხადა, რის მიზეზადაც უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა დაასახელა. ქართული მხარისგან მიღებული გარანტიების მიუხედავად, ჩოჩიევს მიზეზები არ დაელია და ახლა ვანო მერაბიშვილისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა.*

ნათია მსხილაძე

შეგახსენებთ, რომ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ კომისიის თანათავმჯდომარეებს წერილი გაუგზავნა, სადაც 20 იანვარს საკონტროლო სხდომის თბილისში გამართვის აუცილებლობას იმით ხსნიდა, რომ მხარეებს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემოდათ. ამის პარალელურად, ქართულმა მხარემ ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებს, თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტიები მისცა. ყველაფრის მიუხედავად, ჩოჩიევი ასეთ განცხადებას აკეთებდა: **"საქართველო ის ქვეყანა არ არის, რომელსაც შეუძლია, სამხრეთ ოსეთის დელეგაციას უსაფრთხოების გარანტია მისცეს. წინა შეთანხმებების თანახმად, საკონტროლო კომისიის მომავალი სხდომა ვლადიკავკაზში უნდა გაიმართოს."** ჩოჩიევის განცხადებას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ასე უპასუხა: **"თბილისში ჩოჩიევს არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ქართველ სამართალდამცავებს მასზე ძებნა არ აქვთ გამოცხადებული. ეს, უბრალოდ, სასაცილოა, რაც ჩოჩიევმა მშვენივრად იცის. ამ პროცესის გადასადებად და გასაჭიანურებლად რაღაც საბაბის მოყვანა არავის გამოადგება."**

როგორც ჩანს, ჩოჩიევი არც პრემიერ-მინისტრის მიერ მიცემულმა გარანტიებმა დააკმაყოფილა და გადაწყვიტა, რომ ვანო მერაბიშვილისგან ბოდიშის მოხდა მოეთხოვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გულთბილი "ჩახუტებიდან" საქმიან საუბრებამდე

## იქნება თუ არა მერკელი პუტინის მეგობარი?

ნიკა თარაშვილი

*გერმანიის ქალი-კანცლერი გუშინ პირველი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში ვაშინგტონიდან ჩავიდა. თუნდაც ეს პატარა დეტალი მიანიშნებს, რომ გერმანიისა და რუსეთის ლიდერების ამჟამინდელი შეხვედრა სერიოზულად განსხვავდება წინამორბედებისგან - ცხადია, შრიოდერისა და რუსეთის პრეზიდენტის "კაცურ მეგობრობასთან" ახალი ქალი-კანცლერისა და პუტინის ურთიერთობების შედარება სრულიად უადგილოა. თუმცა, ისიც ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ რუსეთს ყოფილი ევროპელი "ადვოკატი" ბოლომდე შეაქცევს ზურგს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



გერმანია-რუსეთის ურთიერთობებში ახალი, "საქმიანი" ერა იწყება.

# მკვლელობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

*2 წლისა და 3 თვის უკანონო პატიმრობის შემდეგ მკვლელობაში ბრალდებული იური გორნევი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ იური გორნევის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები. იური გორნევის ინტერესებს ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი ლაშა ჭინჭარაული იცავდა.*

საუბარია მკვლელობაზე, რომელსაც წინ უძღოდა ოჯახური კონფლიქტი; კერძოდ, მკვლელობამდე ორი თვით ადრე იური გორნევმა შეიტყო, რომ მის მეუღლეს სუსანა ბაბაიანს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მათ საერთო ნაცნობ დავით სააკოვთან. ამის გამო, გორნევი გაშორდა ცოლს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისინი შერიგდნენ.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ინფორმაციით, 2003 წლის 1 ოქტომბერს ღამის 11 საათზე ნასვამი დავით სააკოვი გორნევის ბინასთან მივიდა და ხმაური ატეხა, რათა გორნევის ოჯახის წევრების ყურადღება მიექცია. მოგვიანებით იგი მივიდა ბინის ფანჯარასთან და ოჯახის წევრებს გინება დაუწყო. იური გორნევი არ გამოეპასუხა გინებას და ყურადღება არ მიაქცია სააკოვის მოქმედებას. უყურადღებობისგან გაბრაზებულმა სააკოვმა კარზე ბრახუნი ატეხა. იური გორნევმა მეუღლეს უთხრა, გაეღო კარი, დალაპარაკებოდა სააკოვს და მოეცილებინა იგი.

გაგრძელება A4 გვერდზე

# უცნობი თავისუფლება

## გადაცემის სტუმარია მოძრაობის "ჩვენ თვითონ" ლიდერი პაატა დავითაია

**ალექსანდრე ელისაშვილი:** რატომ მაინცდამაინც "ჩვენ თვითონ"? რა ჩადე ამ ორგანიზაციის სახელწოდებაში?

**პაატა დავითაია:** როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ერთ-ერთ უნივერსიტეტში გამოდიოდა, მას დაუსვეს კითხვა: "როდის დაბრუნდება აფხაზეთი?" - თქვენ თვითონ დაიწყეთ და მე გვერდში დაგიდგებითო. ამიტომაც გადავწყვიტე, მოძრაობას დავარქვა "ჩვენ თვითონ", და დავიწყოთ აფხაზეთისკენ წინსვლა.

**ა. ე.:** პრეზიდენტის მხარდაჭერასაც დაელოდები?

**პ. დ.:** საქართველოს პრეზიდენტი თუ ისურვებს, რატომაც არა?

**ა. ე.:** ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია ის გეგმა, რომ აფხაზეთს იზოლაცია მოეხსნას. თქვენ როგორ აფასებთ ამ გეგმებს?

**პ. დ.:** პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ ამ გეგმებს ვაფასებ, როგორც აფხაზეთის ინტერესების ღალატს და სამშობლოს ღალატს. და რატომ: იზოლაციის მოხსნა კატეგორიულად დაუშვებელია. ბევრს დაავიწყდა, რა მოხდა აფხაზეთში. კერძოდ, ის, რომ 300 ათასი ადამიანი არის დევნილი. ეს ერთი. ის, რომ მოხდა ქართველი ერის გენოციდი. მშვიდობიან პერიოდში გაცილებით მეტია გალში დახოცილი, ვიდრე კონფლიქტის დროს. ამის შემდეგ აფხაზეთის ყველა მოქალაქე რუსეთის მოქალაქე გახდა. აფხაზეთში თავისუფლად ხდება საბანკო ოპერაციების წარმართვა. "ვიზაკარდი", "ევროკარდი", "მასტერკარდი" - ყველა ეს ბარათი მუშაობს. ე. ი. სეპარატისტებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს ფულის გათეთრება, გადარიცხვა, გადმორიცხვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პენსიების გაცემა მიბმულია კრასნოდარის მხარის სოციალურ სამსახურზე. გუშინ ბაგაფშმა გააკეთა განცხადება, ჩვენ რუსულ პენსიებს შევუწყვეტთ მათ, ვისაც არ აქვს რუსეთის მოქალაქის პასპორტიო. ეს ნიშნავს, რომ ვისაც ჯერ არ აქვს, მან უნდა აიღოს რუსული პასპორტი, რომ რუსული სახელმწიფოს პენსია მომავალში გაინაღდოს. მეოთხე: აფხაზეთში არსებობენ მობილური კომპანიები... უახლოეს ხანებში წარმოვადგენ მასალებს ამ კომპანიებთან დაკავშირებით... მე მაქვს მასალები, რომ ამ მობილური კომპანიის შექმნას საქართველოს ზოგიერთი მაღალჩინოსანი უწყობდა ხელს. ალბათ, ოთხშაბათს გავაკეთებ ბრიფინგს, სადაც წარმოვადგენ მასალებს, თუ როგორ მდიდრდება აფხაზური მხარე, ვისი ხელშეწყობით.... მე ამ მასალებს გადავცემ პროკურატურას, უშიშროების საბჭოს და საპარლამენტო კომისიას.

გარდა ამისა, მილიონი დამსვენებელი ჩამოვიდა შარშან აფხაზეთში. ხდება კაპიტალდაბანდებები. აფხაზეთში იქმნება დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებები. რუსეთში იქმნება ღია ტიპის სააქციო საზოგადოებები. ისინი ყიდულობენ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებების აქციებს და ხდებიან მფლობელები. რუსული კაპიტალდაბანდება ლეგალურ ხასიათს იღებს. ანუ რაღაც სამართლებრივი ფორმა მოიგონეს. ეს ხომ დანაშაულია... სინამდვილეში ის სააქციო საზოგადოება, რომელიც იყიდის ამ დახურული ტიპის საზოგადოების აქციებს, რუსეთის მოქალაქე რომ გახდება ამ აქციების მფლობელი, შემდეგ ამას გაყიდის. და მესამე მფლობელი უკვე კეთილსინდისიერი მყიდველი იქნება. ჩვენ რომ დავბრუნდეთ აფხაზეთში, ჩვენ მათ უნდა ვედავოთ, იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ გვიჩივლონ: მე რუსეთის მოქალაქისაგან ვიყიდე... ასეთი ოპერაციების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ანქვაბი, პრემიერ-მინისტრი. ამ კომისიის წევრები არიან მერები, გამგებლები, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი. მაგათზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვის მუხლით! აი, ამ რეჟიმში, ამ სიტუაციაში შეიძლება ბლოკადის მოხსნა? ბლოკადა იყო და მილიონი დამსვენებელი ჩამოვიდა, და ამას ღიად უწყობდა რუსეთი ხელს. ხომ შეგვიძლია ეს გავაპროტესტოთ? შეიძლება, ეს ხალისუფლება დააკანონო? როდესაც 300 ათას დევნილს შუქს უთიშავენ, რადგან ვერ იხდიან. და ალასანია საუბრობს, რომ ევროპა უნდა ვანახოთ აფხაზებს? პირველ რიგში, ქართველებს ვაჩვენოთ ეს ევროპა. ქართველ და აფხაზ ერს შორის პრობლემა არ არსებობს. საუბარია 150 კაცზე, რომელსაც ხელები სისხლში აქვს გასვრილი, ვინც ნარკობიზნესზე სერიოზულ ფულს აკეთებს... ნარკოტიკები ხომ აფხაზეთიდან შემოდის. ოჩამჩირეში არის ქარხანა, სადაც მზადდება ეს ნარკოტიკი, და შემოდის ენგურის ხიდის გავლით.

# ჭავჭავაძეების მამულს ნატო ვაჩნაძის სახელობის კინო-თეატრი მიჰყვება

პირველი გვერდიდან

"აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მე პირველად თქვენგან ვიგებ და, აქედან გამომდინარე, არ ვიცი, ვინ არის მყიდველი და რის გაკეთებას აპირებს. ჩემთვის მართლაც საინტერესოა, რა ჩაიდება ხელშეკრულებაში. თუ მყიდველს სურს, რომ პირობები გააუმჯობესოს, ამაზე კარგი არაფერია, მაგრამ თუ კინოს გარდა, სხვა რამე გაიხსნება, ეს ჩემთვის მიუღებელია. თუმცა, აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ოჯახს ნამდვილად არანაირი უფლება არა აქვს, მოითხოვოს, რომ ობიექტი არ გაიყიდოს, მაგრამ, ალბათ, საზოგადოებაც დამეთანხმება, რომ იმ რაიონში, სადაც ნატო ვაჩნაძე დაიბადა, აუცილებლად უნდა იყოს მისი სახელობის კინო-თეატრი. მე კიდევ გიმეორებთ, იმ შემთხვევაში, თუ კინო-თეატრს სხვა საქმიანობისთვის გამოიყენებენ, საზოგადოების აზრს მე პირადად შევქმნი," - ამბობს კინორეჟისორი გიორგი შენგელაია.



ნატო ვაჩნაძის სახელობის კინო-თეატრი გურჯაანში.

ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საპრივატიზაციო ნუსხაში ვაზისუბნის კულტურის სახლიც მოაქცია, რომელიც სოფლის ბალანსზეა და აღნიშნული ობიექტის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებაც სოფლის გამგეობამ მიიღო. რასაც ვაზისუბნის კულტურის სახლის ხელმძღვანელი აპროტესტებს. მისი განცახდებით, თუ ეს ობიექტი სოფლის ბალანსზეა, მაშინ მისი გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებაც სოფელმა უნდა მიიღოს **"რაც კი ჩვენს სოფელში გაიყიდა, იქიდან შემოსული ფული ხალხს არ მოხმარებია. რა გარანტია გვაქვს, რომ კულტურის ცენტრის გაყიდვა სოფელს წაადგება?!"** - ამბობს კულტურის ცენტრის დირექტორი ნათელა თედორაძე.

კულტურის ობიექტების გაყიდვას უსამართლოს უწოდებენ რიგითი გურჯაანელები. მათი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ხვალ უკვე თვით ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმიც გაიყიდოს. **"ვფიქრობ, ეს არ არის სამართლიანი, ყველაფრის გაყიდვა ხომ არ შეიძლება?! გურჯაანი პატარა ქალაქია და კინო-თეატრსაც თუ გაგვიყიდიან, ხალხს რაღა დარჩება? რაღაც ხომ უნდა იყოს ხალხის, ქვეყნის, სახელმწიფოს საკუთრება,"** - ამბობს გურჯაანელი ლამარა შოშიაშვილი.

ჩუმლაყელი მაია ლიპარტაშვილის აზრით კი, მართალია, პრივატიზაციას თავისი სიკეთეც გააჩნია, მაგრამ ყველაფრის ასე გაყიდვა არ შეიძლება: **"თუ ყველაფერი კერძო იქნება, მაშინ ეს მთავრობა რაღას აკეთებს. რა თქმა უნდა, კინო-თეატრი არ უნდა გაიყიდოს. ალბათ, მისი მფლობელი შენობას რესტორნად გადააქცევს და გურჯაანს კინო-თეატრი აღარ ექნება."**

კინო-თეატრის და კულტურის ცენტრის გაყიდვის შემთხვევაში, გურჯაანის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს მიაჩნია, რომ რაიონში დასაქმების პრობლემა მოიხსნება. ამის დასტურად კი მას ის ხელშეკრულება მოჰყავს, რომელიც ინვესტორთან დაიდება და რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის.

# შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ოსური მხარის დელეგაციას უსაფრთხოების გარანტიას აძლევს მაშინ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ჩვენ ფიზიკურად გაგვანადგურებს. თუკი საქართველო დემოკრატიული, ცივილიზებული ქვეყანაა, ვანო მერაბიშვილმა საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს. ვიდრე ის ამას არ გააკეთებს, თბილისში ოსური დელეგაციის არც ერთი წევრი არ ჩავა,"** - აცხადებს ჩოჩიევი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის საპასუხოდ. ჩოჩიევის თქმით, შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში უკვე გადაწყდა, რომ სხდომა ვლადიკავკაზში გაიმართება. **"ჩემთვის გაუგებარია, რატომ ასახელებს დღემდე გიორგი ხაინდრავა სხდომის გამართვის ადგილად ქალაქ თბილისს. ამის შესახებ არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ხაინდრავამ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო და ხმაური მსოფლიოს გასაგონად ატეხა. ეს მხოლოდ პიარია, რომელიც პიარკამპანიის დიდი ხელოვანის, ხაინდრავას მიერ არის ორგანიზებული,"** - აცხადებს ჩოჩიევი.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, ოსური მხარის ასეთი მკვეთრი განცხადებები იმაზე მიუთითებს, რომ რუსულ-ოსურ მხარეს სამშვიდობო გეგმის პროცესის ჩაშლა სურს. **"ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სამშვიდობო გეგმა ბოლომდე განახორციელოს,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

# ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვაკანსიაზე რამდენიმე დღის წინათ გამოცხადებული კონკურსი იანვრის ბოლოს დასრულდება. კონკურსში მონაწილეობის უფლება ნებისმიერ არაპარტიულ, შესაბამისი გამოცდილების მქონე და სერტიფიცირებულ მოქალაქეს აქვს. კონკურსის დასრულების შემდეგ საკონკურსო კომისია ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურებს (მინიმუმ, ორს) პრეზიდენტს წარუდგენს, პრეზიდენტი კი ერთ კანდიდატს შეარჩევს და პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად.

"ნაციონალური პარტიიდან" გამოსული ხმების მიხედვით, იკვეთება ორი სავარაუდო კანდიდატურა - ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გურამ ჩალაგაშვილი და წევრი გიზო მჭედლიძე. კონკურსის პირობებს ორივე მათგანი აკმაყოფილებს, ორივე სერტიფიცირებულია. აღნიშნული ორიდან კი უფრო რეალურად ჩალაგაშვილის კანდიდატურა მოიაზრება. თუმცა, თუ აღნიშნული პროგნოზი გამართლდა, ალბათ, არც გიზო მჭედლიძე დარჩება უკმაყოფილო. გურამ ჩალაგაშვილის ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე გადაყვანით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანსია გამოთავისუფლდება. სხვათა შორის, გიზო მჭედლიძეს, თავის დროზე, აღნიშნული თანამდებობის დაკავება სურდა.

*24 საათი*

# მადლიერი პრემიერ-მინისტრი

*სერიალი სათაურით "პრემიერის მადლობა მინისტრებს" - გრძელდება. ენერგეტიკის მინისტრის შემდეგ პრემიერ-მინისტრის შექება ალექსიშვილის უწყებამ მიიღო. ზურაბ ნოღაიდელი ფინანსთა სამინისტროს გასული წლის მუშაობით კმაყოფილია.*

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ფინანსთა სამინისტროს მიერ 2005 წელს გაწეული სამუშაოები შეაჯამეს. "წარმატებული და გარდამტეხი წელი ფისკალური სამსახურებისთვის, რის შედეგადაც საბიუჯეტო შემოსავლებმა გეგმით გათვალისწინებულ პარამეტრებს გადააჭარბა", - ასე შეაფასა ნოღაიდელმა ფინანსთა სამინისტროს მიერ განვლილი წელი.

როგორც ფინანსთა მინისტრმა, ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, 2005 წელს ბიუჯეტში 3,1 მილიარდი ლარის ოდენობის შემოსავლები და გრანტები შევიდა, რაც გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლის 105,1 პროცენტია. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში 2,4 მლრდ ლარი შევიდა, კაპიტალური შემოსავლების კუთხით - 419,3 მლნ ლარი, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით - 321,6 მლნ ლარი. მინისტრის თქმით, საბიუჯეტო თანხების გადაჭარბებით მობილიზების პარალელურად, სისტემაში რეფორმები და მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის პროცესი მიმდინარეობდა. **"განხორციელდა საბიუჯეტო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა. კერძოდ, განისაზღვრა 2006-2009 წლების ბიუჯეტების ძირითადი პარამეტრები და პრიორიტეტები, შემუშავდა "ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ" კანონპროექტი, გადამხდელთა რეგისტრაცია სასამართლოდან საგადასახადო სამსახურებში გადავიდა, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა ვადები და გამარტივდა რეგისტრაციის პროცედურები,"** - აცხადებდა გუშინ ალექსიშვილი სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც, ნოღაიდელის გარდა, უწყების მაღალჩინოსნები - საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თავმჯდომარეები ზურაბ ანთელაძე და ვაჟა პეტრიაშვილი, ფინანსური პოლიციის უფროსი, დავით კეზერაშვილი ესწრებოდნენ.

**"მიუხედავად გაზრდილი საგეგმო პარამეტრისა, წლის ბოლოსთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებმა გეგმით გათვალისწინებულს 158,3 მილიონი ლარით გადააჭარბა,"** - განაცხადა ნოღაიდელმა და იქვე დასძინა, რომ ფინანსთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში შემავალ უწყებებს მიმდინარე წელს დაძაბული მუშაობა მოუწევთ.

2006 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტები საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში რეფორმების სრულად განხორციელება იქნება. კერძოდ, ალექსიშვილის განცხადებით, მიმდინარე წელს, სამინისტროს პრიორიტეტი მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელების შემუშავება, დამატებითი ღირებულების გადასახადის მონიტორინგის ცენტრის შექმნა და საბაჟო გაფორმების "ერთი ფანჯრის" პრინციპზე გადასვლა იქნება.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, მომავალი წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 3 494 მილიონი ლარით განისაზღვრება, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს 12,6 პროცენტით, ანუ 391,5 მილიონი ლარით აღემატება. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, 2006 წელს ის 2 მილიარდ 657,4 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 481, 6 მილიონი ლარით აღემატება 2005 წლის მაჩვენებელს. აქედან, მილიარდ 563,1 მილიონი ლარის მობილიზებას საგადასახადო დეპარტამენტი, ხოლო მილიარდ 094,3 მილიონ ლარის მობილიზებას საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

*24 საათი*

# რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია

გასული წლის ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო შვედური დახმარების პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს რძის წარმოების სექტორის განვითარებას. პროგრამა შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (SIDA) და იგი ხორციელდება შვედური საერთაშორისო კომპანიის "OPTO INTERNATIONAL" მიერ. პროექტი ითვალისწინებს დაეხმაროს, როგორც სოფლად, ასევე ქალაქში რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების სტანდარტების ევრო სტანდარტებთან შესაბამისობას.

პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის შექმნა და მისი მხარდაჭერა, როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური რესურსით. სწორედ ამ მიზნით, გასული წლის 20 დეკემბერს გაიმართა ასოციაციის პირველი შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერები, ექსპერტები და პროექტის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ასოციაციის მიზნები და მათი განხორციელების გზები, ასევე ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია აღნიშნული ასოციაციის წევრობისათვის. შეხვედრის პროცესში გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ემსახურებიან რძის პროდუქტების მწარმოებელთა საქმიანობის გაუმჯობესებას და პასუხობენ საზოგადოების მოთხოვნებს. რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საზოგადობესთან რეგულარული ურთიერთობა მასმედიის მეშვეობით. აუცილებელია მუდმივად მიმდინარეობდეს მომხმარებელთა ინფორმირება რძის პროდუქტების ვარგისიანობის, შენახვის პირობების, მოხმარების, საჭიროებისა და საუკეთესო თვისებების შესახებ.

ასევე აუცილებელია წარმოებული რძის პროდუქების ხარისხის ამაღლება და მისი სტაბილურობა. ეს საკითხი მნიშვნელოვნად უკავშირდება ნედლეულს, წარმოების პირობებსა და სავაჭრო ქსელი მომარაგებას. პარალელურად ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი მიზეზი იქნება მწარმოებელი კომპანიების მიერ გარკვეული ურთიერთკონტროლი, რაც განხორციელდება რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ეგიდით. პარალელურად ასოციაცია მიზნად ისახავს ფერმერთა გაერთიანებებთან წარმატებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ აამაღლებს რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისათვის ქართული ნატურალი რძის ხელმისაწვდომობას.

აღსანიშნავია, რომ რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებში ადრეც არსებობდა ასეთი ასოციაციის შექმნის სურვილი, რაც გამოიკვეთა თითოეული მათგანის ჩამოყალიბებულ პოზიციაში, ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ასოციაციის წარმატებულ ფუნქციონირებას.

ასოციაციის პირველ შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი კომპანიების - სანტეს, ქართული პროდუქტის, ეკოფუდის, ამალთეას და დიდუბის რძის ხელმძღვანელები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, რომლებმაც შეხვედრის დასასრულ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის აუცილებლობა და მისი როლი მომხმარებლის ინფორმირების, წარმოების განვითარების, ხარისხის ამაღლებისა და სტაბილურობის საკითხებში.

## პანიკა უსაფუძვლო აღმოჩნდა

ქათმის გრიპთან დაკავშირებით, ლაგოდეხის რაიონი პანიკამ კიდევ ერთხელ მოიცვა. ამის მიზეზი სოფელ ბაისუბანში ბოჟაძეების საქათმეში ნანახი მკვდარი ქათმები გახდა. ოჯახის დიასახლისის ლეილა ბარამიშვილის თქმით, სოფლის ვეტერინარმა ქათმებს ჭირთან დაკავშირებით, პროფილაქტიკის მიზნით, ყველანაირი ვაქცინაცია გაუკეთა. სიმპტომები კი, რომლებიც დახოცილ ქათმებს აღმოაჩნდა, სწორედ იმის ანალოგია, რომელიც, ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ ქათმის გრიპთან დაკავშირებით საინფორმაციო ბუკლეტებშია მითითებული. **"ქათამს ბიბილო ჰქონდა დალურჯებული, ნისკარტიდან კი ლორწოიანი სისხლი გადმოსდიოდა,"** - ამბობს ლეილა ბარამიშვილი.

ქათმის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური ბაისუბანში მოგვიანებით ჩავიდა და აღნიშნული დაავადების ალბათობა გამორიცხა. მათი მტკიცებით, ქათმები მოწამლულები არიან. თუმცა, როგორც შტაბის ხელმძღვანელობა აცხადებს, თავდაცვის მიზნით, ისინი მკვდარ ქათმებს თბილისის ცენტრალურ ლაბორატორიაში შესამოწმებლად გადააგზავნიან.

სოფელ ბაისუბნის მოსახლეობამ, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ქათმების მასიური დახოცვა მაინც დაიწყო.

*24 საათი*

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს შესახებ იმსჯელებს

24 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ დადგენილების პროექტს განიხილავს. დოკუმენტის პროექტში, რომელიც დეკემბერში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საქართველოში "პოსტრევოლუციურმა ეიფორიამ მეტ პრაგმატულობას ჩაუყარა საფუძველი", მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიანი რეფორმები "სწორი გზით" მიდის, მათი უმეტესობა ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია და "მთავარი გამოწვევები ჯერ კიდევ წინ არის."

საქართველოს შესახებ მოხსენება ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა მათიას იორშმა და ევგენი კირილოვმა მოამზადეს. დადგენილების პროექტში ნათქვამია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში მიღწეული პროგრესი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც იმედის მომცემი, თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე. პროექტის თანახმად, პოსტრევოლუციური ეიფორია, რომელსაც მოჰყვა ნაჩქარევი, "ზოგჯერ ქაოსური" მიდგომა რეფორმების მიმართ, "თანდათანობით იცვლება პრიორიტეტების უფრო ნათელი განსაზღვრით და უკეთესად განსაზღვრული სტრატეგიით." დოკუმენტის პროექტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საპარლამენტო ასამბლეის წინა მოწოდებებს. მათ შორის არის 2004 წლის თებერვალში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების გადახედვა, რომელიც, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, უდიდეს უფლებებს ანიჭებს პრეზიდენტს; არის, აგრეთვე, აჭარის ავტონომიური მოდელის გადახედვა; საარჩევნო ბარიერის 7 პროცენტიდან 5 პროცენტამდე შემცირება; კანონმდებლობის მიღება მაჰმადიანი მესხების რეპატრიაციისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად, რათა ეს პროცესი 2011 წლისათვის დასრულდეს. დადგენილების პროექტი, ასევე, ეხება პოლიტიკურ ოპოზიციას და აღნიშნავს, რომ ოპოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია, არ შესწევს უნარი, ეფექტური ალტერნატიული პროგრამა წარადგინოს.

პროექტი, ასევე, აღნიშნავს საქართველოში მედიის ფინანსურ სისუსტეს, რომელსაც არ შესწევს უნარი, "დემოკრატიული დამკვირვებლის როლი შეასრულოს." და მედია გაკრიტიკებულია "დემოკრატიული კულტურის" ნაკლებობის გამოც.

პროექტი ასევე, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი იურიდიული დოკუმენტი საკუთრების და მესაკუთრის უფლებების რესტიტუციის ან აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების დროს დაკარგული ქონების კომპენსაციის მიზნით. ორივე ამ ვალდებულების შესრულების ვადა 2005 წლის სექტემბერში გავიდა.

საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2005 წლის იანვარში მიღებული დადგენილებისგან განსხვავებით, ახალი პროექტი შეიცავს მოწოდებას საქართველოს ხელისუფლებისადმი, "უზრუნველყოს კონსტიტუციური და საკანონმდებლო გარანტიები უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების წევრების დამოუკიდებლობისთვის", ასევე "უზრუნველყოს მოსამართლეების შეცვლის სრულიად გამჭვირვალე და დემოკრატიული სისტემა." კონფლიქტებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთონ აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. "ასამბლეა დარწმუნებულია, რომ საქართველოში სიტუაციის სრული ნორმალიზება შეუძლებელია კონფლიქტების მშვიდობიანი და დემოკრატიული მოგვარების გარეშე," - ნათქვამია დადგენილების პროექტში. წინასწარი ინფორმაციით, 24 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დაგეგმილი დებატების დროს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც დეპუტატი გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს, ყურადღებას კონფლიქტების საკითხზე გაამახვილებს. **მედიანიუსი**


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55-28-87, 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

## ბზარები სტრატეგიულ სამხედრო პარტნიორებთან თანამშრომლობაში

პირველი გვერდიდან

ირაკლი ოქრუაშვილი შარშან პირადად შეხვდა "კომანდოსის" წევრებს, მაგრამ ვერ დაიყოლია მებრძოლები, ხელი მოეწერათ ახალ კონტრაქტზე. მიზეზი ხელშეკრულებაში შესული ახალი პუნქტები იყო, რაც პროგრამის დატოვების შემთხვევაში საჯარიმო თანხის გაათმაგებას ითვალისწინებს. **"ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არმიაში მოვიდნენ შევარდნაძის დროს, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე. ერაყში ყოფნის დროს დააგროვეს 6-7 ათსი დოლარი და ახლა სურთ ბიზნესის დაწყება,"** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

- შარშან ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესის წარმართვაზე უარი ეთქვა სტრატეგიულ პარტნიორ თურქულ მხარეს, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მოწვევით 2002 წლიდან ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამას. საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ თურქული მომზადების ოთხწლიანი პროგრამა არაფრით განსხვავდება რუსულ-პრუსიულისაგან და ოფიცერთა გადამზადების ერთწლიანი პროგრამა შემოიღო. სამხედრო უწყებიდან ასევე დაითხოვეს თურქეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა კურსდამთავრებული მაღალი რანგის ოფიცრები.

- შარშან პირველად გაიბზარა ქართულ-უკრაინული სამხედრო თანამშრომლობა. ორფოლოს პოლიგონზე ჩატარებული ჯავშანსატანკო სწავლების შემდეგ გაირკვა, რომ უკრაინიდან დიდი ზარ-ზეიმით ჩამოტანილი ქვეითთა ჯავშანმანქანების უმრავლესობა, 38 ერთეული, თურმე, უხარისხოა. სამხედრო პროკურატურამ ლოგისტიკის სარდალი და ორი მაღალჩინოსანი, რომლებიც ტექნიკის შემოყვანაში მონაწილეობდნენ, დააპატიმრა. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მწყობრიდან გამოსულია ბევრად ნაკლები ტექნიკა და თანაც ქართული ეკიპაჟების არაკომპეტენტურობის გამო. თუმცა, საქართველოს სამხედრო უწყებამ უკრაინასთან ბოლომდე შეინარჩუნა "პრინციპული ტონი" და მიაღწია, რომ მიეღო მაკომპლექტებელი ნაწილები. საქართველოს სამხედრო ძალებიდან ასევე დაითხოვეს უმრავლესობა იმ მაღალჩინოსანი ოფიცრებისა, რომლებმაც განათლება უკრაინის გენერალური შტაბის აკადემიაში მიიღეს. ოფიციალური მიზეზი იგივეა - დაბალი კომპეტენცია, სუბიექტივიზმი კონტინგენტის შერჩევის დროს და მათ წარსულ საქმიანობასთან დაკავშირებით **"კონტრდაზვერვასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგროვებული საეჭვო შეკითხვები"** (ი. ოქრუაშვილის 27 ოქტომბრის მოხსენება საქართველოს პარლამენტში).

შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა სხვა მაგალითებიც, თუმცა ტენდენცია, როგორც იტყვიან, სახეზეა - საქართველოს ახალი ხელისუფლება სტრატეგიულ სამხედრო პარტნიორებთან ურთიერთობაში აშკარად აღარ ერიდება "მკვახე ტონით საუბარს", რასაც, შესაძლოა, ჰქონდეს ორგვარი ახსნა: წინა წლებში საქართველო იმდენად იყო დამოკიდებული საგარეო სამხედრო დახმარებაზე, რომ თვალს ხუჭავდა ბევრ იმ წუნზე, რაზეც ხშირად საუბრობდნენ სამხედრო უწყების კულუარებში - გრანტით გარემონტებული ყაზარმებისა თუ საშტაბო შენობების, შეღავათიან ფასებში შეძენილი აღჭურვილობის თუ სამოსის ხარისხზე (მაგალითად, 90-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთი ქვეყნიდან შემოვიდა ძირითადად 41 ზომა სამხედრო ჩექმა, რომელიც პირადი შემადგენლობის 5 პროცენტსაც ვერ მოარგეს). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველაზე მძიმე წლებში ასეთ სამხედრო დახმარებასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა და, თანაც, უმრავლეს შემთხვევაში პრიორიტეტებს იმდროინდელი ქართველი მოხელეები ირჩევდნენ. ამიტომ, ნაჩუქარი ცხენისათვის კბილის გასინჯვა უბრალო უმადურობად რომ არ გამოჩნდეს, საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობას, პირველ ყოვლისა, მეტი დიპლომატიურობის გამოჩენა მართებს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობაში. მეორე მხრივ, ნათლად უნდა იქნას განსაზღვრული სფეროები, რაშიც დღეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების სამხედრო დახმარება სჭირდება. დაბოლოს, უნდა ვისწავლოთ ამ დახმარებით მიღებული სარგებლის (გაწვრთნილი ბატალიონი იქნება ეს, ტანკი თუ ავტომატი) აკუმულირება და სწორი ექსპლუატაცია.

## საპარლამენტო "გაზაფხულის" მოლოდინში

პირველი გვერდიდან

**"გვინდოდა, ამ საკითხში სერიოზული გარღვევა მომხდარიყო, მაგრამ ასეთი რამისგან ჯერჯერობით ძალიან შორს ვართ. მეტიც, განსაცვიფრებელია რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადება იმის თაობაზე, თითქოს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა არ არსებობს. თუ ეს მართლა ასეა, საინტერესოა, მაშინ რა დოკუმენტს აწერდნენ რუსები ხელს ეუთო-ს ლუბლიანის სამიტზე?"** - ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძე კრემლის პოზიციაში გარკვევას ამაოდ ცდილობდა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თუ 10 თებერვლამდე გარკვეული პროგრესი არ იქნება მიღწეული, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო აუცილებლად მიმართავს მთავრობას ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურის დაწყების მოთხოვნით.

საგაზაფხულო სესიის სტარტზე, ასევე, ერთ-ერთი საკვანძო მომენტი იქნება პარლამენტის წინაშე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური გამოსვლა, მანამდე კი საკანონმდებლო ორგანოში სტუმრობა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს მოუწევს - როგორც ცნობილია, გასული წლის ბოლოს მისი ანგარიშის მოსმენა სკანდალით დასრულდა და პარლამენტმა შესაბამისი დადგენილების მიღება ვერ მოახერხა. ამიტომ, მიმდინარე კვირაში ომბუდსმენს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მოუწევს კონსულტაციების გავლა, რის შემდეგაც მის მუშაობას ოფიციალური შეფასება მიეცემა.

საგაზაფხულო სესიაზე, როგორც ჩანს, კვლავ გაგრძელდება "ბრძოლა" პარლამენტსა და მთავრობას შორის. ამ ბრძოლის განახლების წინ ნინო ბურჯანაძე კანონმდებლებს გარკვეულ "რეკომენდაციებს" აძლევს.

**"დეპუტატებს ზოგჯერ უყვართ იმაზე წუწუნი, რომ მთავრობა პარლამენტის გადაწყვეტილებებს არ ასრულებს. თუ ასე ხდება, ეს, პირველ რიგში, თავად პარლამენტის ბრალია, რადგან მას საკმარისი ბერკეტები გააჩნია იმისთვის, რომ მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობა განახორციელოს,"** - მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერების მოსურნეთ.

საგაზაფხულო სესიის გახსნამდე კი დეპუტატებს გასვლითი "მატჩი" ელით - შაბათს სტრასბურგში მიემგზავრება საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, სადაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ამ ორგანიზაციისადმი საქართველოს ვალდებულებათა შესრულების საკითხს განიხილავს და ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთ რეკომენდაციებს მისცემს.

სტრასბურგში მიმავალი ელენე თევდორაძე პარლამენტის ხელმძღვანელობამ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე სათანადოდ "დამოძღვრა".

**"ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კონვენციის რატიფიცირებაზე მუშაობა დაწყებულია, დანარჩენ ვალდებულებებს კი საგაზაფხულო სესიის განმავლობაში განვიხილავთ-თქო,"** - ევროსაბჭოში სათქმელი ლამის დაიზეპირებინეს თევდორაძეს.



## ბრძოლა შუქურებისთვის გრძელდება



უკრაინა ჰიდროგრაფიის ყველა იმ ობიექტის გაკონტროლებას აპირებს, რომლებსაც უკანონოდ იყენებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ვლადიმერ სემიონოვმა განაცხადა, რომ ჰიდროგრაფიის (შუქურა, ნიშანი, ტივტივა) 100 ობიექტიდან უკრაინა უკვე 65-ს ფლობს. რჩება 35 ობიექტი, რომლებსაც, ფაქტობრივად, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი აკონტროლებს.

მოსკოვში კი თვლიან, რომ კიევის მიერ ნატო-ში დაჩქარებული შესვლის კურსის გამოცხადების შემდეგ, უკრაინა აქტიურად შეუდგა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შესახებ საბაზო შეთანხმებათა მუხლების და დებულებების ცალმხრივი წესით გადახედვას, რითაც ის უგულებელყოფს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს.

გუშინ უკრაინული მხარის მიერ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ობიექტის ხელში ჩაგდების კიდევ ერთი მცდელობა დაფიქსირდა. უკრაინელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის "სტუდენტური საძმოს" წევრთა ხუთკაციანი ჯგუფი გუშინ დილით გენიჩესკის რაიონში მდებარე შავი ზღვის ფლოტის ჰიდროგრაფიული სამსახურის რადიონავიგაციის სადგურის "მარს-75"-ის შესასვლელთან მივიდა. ეს სადგური შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში 20 წელზე მეტია, ფუნქციონირებს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ხომალდების ნავიგაციის უზრუნველყოფისთვის არა მარტო შავ ზღვაში, არამედ საოკეანო ზონაშიც.

როგორც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის თანაშემწემ იგორ დიგალომ განაცხადა, უკრაინელ მოქალაქეთა ჯგუფმა ამ სამხედრო ობიექტის ფოტო და ვიდეოგადაღება ჩაატარა.

"სტუდენტური საძმოს" ლიდერის ოლეგ იაცენკოს თქმით, ორგანიზაციის წევრთა გამოჩენისთანავე რუსმა სამხედროებმა სასწავლო განგაში გამოაცხადეს, რაც ადრე ანალოგიური აქციების დროს, სევასტოპოლის მიდამოებშიც კი არ გაუკეთებიათ.

2005 წლის დეკემბერში, ხერსონის სასამართლომ მიიღო დადგენილება რუსეთის შავი ზღვის ფლოტისთვის სანავიგაციო სადგურის "მარს-75"-ის ჩამორთმევის შესახებ. სასამართლოს დადგენილების თანახმად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 3 მარტამდე ეძლევა ვადა, ნებაყოფლობით შეასრულოს სასამართლოს დადგენილება. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება იძულების წესით აღსრულდება.

იგორ დიგალოს თქმით, ამ სადგურის, ისევე როგორც ჰიდროგრაფიული სამსახურის სხვა ობიექტების დაცვა გაძლიერებულია. ეს ზომები რუსულმა მხარემ მას შემდეგ მიიღო, რაც პარასკევს უკრაინის წარმომადგენლებმა იალტის შუქურა დაიკავეს, მოგვიანებით კი ყირიმის სამხრეთ ნაპირზე მდებარე "სარიჩის" შუქურის ხელში ჩაგდება სცადეს.

*ნიუს.რუ*

## გულთბილი "ჩახუტებიდან" საქმიან საუბრებამდე

პირველი გვერდიდან

ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა რუსეთისა და გერმანიის მმართველები ღიად ახდენდნენ ძლიერი "კაცური მეგობრობის" დემონსტრირებას. გასაგები მიზეზის გამო, პუტინისა და ანგელა მერკელის ერთობლივი სიარული აბანოში, უბრალოდ, გამორიცხულია. გერმანიის ახალი ქალი-კანცლერი თავიდანვე აცხადებდა, რომ გერმანია-რუსეთის ურთიერთობები აღარ იქნება ისეთი, როგორიც შრიოდერის დროს იყო.

მოსკოვში გერმანიის კანცლერის რანგში ანგელა მერკელის პირველ ოფიციალურ ვიზიტს მთელი მსოფლიო დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს. ყველას კარგად ახსოვს, რომ მის წინამორბედს, გერჰარდ შრიოდერს არა მარტო "კაცური მეგობრობა" აკავშირებდა პუტინთან, - შეიძლება ითქვას, რომ გერმანია ევროპაში კრემლის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი, თანაც "უსიტყვო" მხარდამჭერი იყო.

აქედან გამომდინარე, მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე, პირველ რიგში, მათ ლიდერებს შორის დამყარებული კონტაქტები მოახდენდა გავლენას.

ოფიციალური რუსული წყაროების ვერსიით, მოსკოვში მერკელის **ვიზიტის მიზანი იყო "დაედასტურებინა რუსეთსა და გერმანიას შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების კურსისადმი ერთგულება".** სხვათა შორის, სწორედ "სტრატეგიულ პარტნიორობაზე" და არა "მეგობრობაზე" აკეთებდა მოსკოვში ჩასვლამდე მერკელიც აქცენტს.

მერკელისა და პუტინის შეხვედრა კრემლში მსგავსი პათოსით დაიწყო. **"მინდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის განმავლობაში (მერკელის არჩევიდან დღემდე) ურთიერთობებში არანაირი უკუსვლა არ ყოფილა,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა შეხვედრის დასაწყისში. თავის მხრივ ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ კარგად ახსოვს ვლადიმირ პუტინთან პირველი შეხვედრა სექტემბერში (მაშინ ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერის რანგში). **"ვფიქრობ, მაშინ პარტნიორობის განვითარებისთვის კარგი საფუძველი ჩავყარეთ,"** - თავაზიანობაზე დიპლომატიურად პასუხობს ქალი-კანცლერი.

გერმანიის კანცლერის ერთი ფრაზა კი თვალსაჩინოდ ასახავს მერკელის ვიზიტის მოტივებს: **"ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში სახეზეა ტენდენციები, რომლებიც პირდაპირ გამაოგნებელია,"** - ამბობს მერკელი. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გერმანიის ახალ ლიდერს, შესაძლოა, არც მოსწონდეს პუტინი, მაგრამ მასთან "მეგობრობა" თუ არა, თანამშრომლობა ნებისმიერ შემთხვეაში მოუწევს.

მაინც როგორი მომავალი აქვს გერმანია-რუსეთის ურთიერთობებს? ერთი შეხედვითაც აშკარა იყო, რომ მერკელს რუსეთის პრეზიდენტთან საუბრისას გულთბილი ურთიერთობების დამყარებაზე მეტად ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი ამოძრავებდა. ანგელა მერკელი ზედმეტად საქმიანიც კი იყო - მის თავაზიანობაში აშკარად შეიმჩნეოდა დიპლომატიური პროტოკოლის დაცვის სურვილიც.

ცხადია, გერმანიას კვლავაც სჭირდება რუსული ენერგორესურსები, ისევე როგორც მშვენივრად აცნობიერებს კრემლის "შესაძლო დახმარების" ფასს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისას (თუნდაც, ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო წარმოქმნილი პრობლემის, რომელმაც სერიოზულად შეულახა ევროპელ შუამავლებს - გერმანიას, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს - რეპუტაცია).

თუმცა, წინამორბედისგან განსხვავებით, აშკარაა, გერმანიის ამჟამინდელი კანცლერი არც "რუსულ პრობლემებზე" დახუჭავს თვალს. მით უმეტეს, თუ ვაშინგტონსაც ანალოგიური პოზიცია აქვს. მერკელმა ხომ ერთხელ უკვე აღნიშნა - **"რუსეთთან არ გვაერთიანებს იმდენი ფასეულობა, რამდენიც ამერიკასთან".**

სხვათა შორის, მერკელმა გუშინვე მოახდინა ამის დემონსტრირება - კრემლში შეხვედრის დასრულებისთანავე გერმანიის საელჩოში რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები მიიწვია.




## ხანძარი ვლადივოსტოკში

ვლადივოსტოკში, მრავალსართულიან შენობაში, გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, - იტყობინებოდა გუშინ სააგენტო "რია ნოვოსტი". საგანგებო სიტუაციათა სამინისტროზე დაყრდნობით, რუსული სააგენტო ავრცელებს ინფორმაციას, რომ კიდევ ოცამდე ადამიანი საავადმყოფოში დამწვრობის მძიმე ხარისხითა და თავის ქალის ტრავმით მოხვდა.

ხანძარი "პრომსტროინიიპროექტი"-ის შენობაში გუშინ შუადღეს მოხდა. თავდაპირველად ცეცხლი მეექვსე სართულზე გაჩნდა და რამდენიმე წუთში მოედო კიდევ სამ სართულს. ასობით ადამიანი ჩაკეტილი აღმოჩნდა მაღალ სართულებზე, რადგანაც ცეცხლის ალმა გასასვლელები, ფაქტობრივად, ჩაკეტა.

"ინტერფაქსის" მიერ გავრცელებული უკანასკნელი მონაცემებით, დაიღუპა ცხრა ადამიანი. მათ შორის ხუთი შენობიდან გადმოხტომის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. თუმცა, როგორც მეხანძრეები აცხადებენ, მსხვერპლთა რიცხვი, შესაძლოა, გაიზარდოს მას შემდეგ, რაც დამწვარ შენობას გაწმენდენ.

ხანძრის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, პროკურატურის თანამშრომლები მუშაობენ. არსებობს ვერსია, რომ ხანძარი უყურადღებოდ მიტოვებული სიგარეტის გამო გაჩნდა, მუშავდება სხვა ვერსიებიც.

*24 საათი*

## ირანი დათმობას არ აპირებს

ირანი კვლავ იმუქრება, რომ თავის ბირთვულ ობიექტებზე არ დაუშვებს საერთაშორისო ინსპექტორებს, თუკი ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეცემა განსახილველად.

ირანის პარლამენტის სპიკერმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში დეპუტატები მოითხოვენ მათ მიერ 20 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას. კვირას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩარ მოთაკიმ ევროკავშირს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გადამეტებულად რეაგირებაში დასდო ბრალი. ამავდროულად, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ თეირანი კვლავაც მზად არის ევროკავშირთან მოლაპარაკებებისთვის თავის ბირთვულ პროგრამაზე. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ეს კომპრომისის გამოძებნის ერთადერთი შესაძლებლობაა. ირანის პრეზიდენტმა აჰმადინეჯადმა კვლავ განაცხადა, რომ მის ქვეყანას უფლება აქვს, ფლობდეს ბირთვულ ტექნოლოგიებს.

*24 საათი*

## ქუვეითს ახალი ამირა ჰყავს

ნავთობით მდიდარ ქუვეითს ახალი მმართველი ჰყავს - გარდაცვლილი ამირის მემკვიდრედ გუშინ მისი ბიძაშვილი გამოცხადდა - ტახტის მემკვიდრე პრინცი აბდულა საბაჰი. ამირა ჯაბერ აჰმედ საბაჰი, რომელიც ქვეყანას 1978 წლიდან მართავდა, კვირას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე 77 წლისაა და თავადაც მძიმე ავადმყოფია. ამიტომ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ, ფაქტობრივად, ქუვეითის მმართველი, ისევე როგორც დღემდე, ქვეყნის მოქმედი პრემიერ-მინისტრი საბაჰ აჰმედ საბაჰი იქნება.

*24 საათი*

# ასლან აბაშიძის დროინდელ ჩინოსანს განაჩენი გამოუტანეს

*ბათუმის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს გოგი კუპრეიშვილს, რომელსაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ეს განაჩენი საბოლოო არ არის და გასაჩივრებას ექვემდებარება. მსჯავრდებულის ადვოკატი გუშინდელი განაჩენის გასაჩივრებას ჯერ ზემდგომ ინსტანციაში - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ კი სტრასბურგის სასამართლოში აპირებს.*

ბათუმის საქალაქო სასამრთლოს განაჩენით, სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილდა. პროკურატურა გოგი კუპრეიშვილისთვის 12-წლიან პატიმრობას ითხოვდა. მართლმსაჯულებამ რამდენიმე მუხლით ბრალდებული კუპრეიშვილი რამდენიმე ეპიზოდში გაამართლა. მას მოეხსნა ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობაში ყოლის ბრალდება; შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის პასუხს არ აგებს, ვინაიდან მოსამართლემ ჩათვალა, რომ ასანიძე აჭარის ყოფილი მეთაურის, ამჟამად ძებნილად გამოცხადებული ასლან აბაშიძის პირადი პატიმარი იყო. თუმცა, ასანიძის შეწყალების შეუსრულებლობის ბრალდება სასამართლომ კუპრეიშვილს უცვლელად დაუტოვა. იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვის ბრალდების ერთ ეპიზოდში სასამართლომ კუპრეიშვილი გამართლებულად ცნო. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაც.

გოგი კუპრეიშვილს სატელეფონო მოსმენების უკანონო განხორციელებასაც ედავებოდნენ; მისი ადვოკატი კი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ შეეძლო სატელეფონო საუბრების უკანონო და ფარული მოსმენა მოეხდინა. ადვოკატი ირწმუნებოდა, რომ ფარულ მოსმენებს უშიშროების მინისტრის მეორე მოადგილე ახდენდა, რომელიც გარდაიცვალა.

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა, დაზარალებულებად ცნობილმა ყოფილმა პატიმრებმა, რომლებიც სასჯელს, კოლონიის მაგივრად, იზოლატორში იხდიდნენ, განაცხადეს, რომ ისინი ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პირადი პატიმრები იყვნენ და ერთადერთი ადამიანი, ვინც მათ ადამიანურად ექცეოდა და დახმარებას უწევდა, სწორედ ბრალდებული გოგი კუპრეიშვილი იყო.

**"სასამართლომ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა, ვინაიდან კუპრეიშვილის ბრალეულობა საერთოდ არ არსებობდა",** - აცხადებს კუპრეიშვილის ინტერსების დამცველი ეკა ბესელია და იმედი აქვს, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას დაადასტურებს.

სხვათა შორის, რამდენად კანონიერად მოხდა დაუსაბუთებლობის მოტივით, ყოფილი მაღალჩინოსნისთვის კუთვნილი ქონების ჩამორთმევა, ამის შესახებ სტრასბურგის სასამართლოში უახლოეს ხანში გამოიტანენ გადაწყვეტილებას.

ქართული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით, დაკავებიდან ცოტა ხანში აბაშიძის დროინდელ ჩინოსანს მთელი ის ქონება, რომელიც თავის დროზე სამხედრო პროკურატურამ დაუსაბუთებლად მიიჩნია, სრულად ჩამოერთვა. კუპრეიშვილის ქონება, დაახლოებით, 500.000 ლარად შეფასდა. სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, დაახლოებით 100.000 ლარი ბრალდებულს ბიუჯეტისთვის ნაღდი ფუ-

# სულხან მოლაშვილი "მეციხოვნეებს" არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს

*კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში, დაპირებისამებრ, განსასჯელის დაცვის მხარის ახალი შუამდგომლობების დაყენებით და განხილვით დაიწყო.*

როგორც მოგეხსენებათ, წინა სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა შალვა შავგულიძემ და სოსო ბარათაშვილმა, მართალია, მათი თქმით, კვალიფიციური, მაგრამ ხელისუფლების ნებას დამორჩილებული მოსამართლეთა კოლეგიის აცილება უშედეგოდ მოითხოვეს. გუშინ სწორედ აღნიშნულმა კოლეგიამ განაახლა პროცესი და დაცვის მიერ დაყენებული სამი შუამდგომლობიდან ორი დააკმაყოფილა.

ადვოკატებს პირველი შუამდგომლობის აუცილებლად დაყენება საპყრობილეებში არსებული ვითარების გამო მოუხდათ. სხდომაზე სულხან მოლაშვილმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები მის წინააღმდეგ არაადამიანურ მოპყრობაში დაადანაშაულა. მოლაშვილის თქმით, საკანში პერიოდულად ტარდება ე.წ. პროფილაქტიკური ღონისძიება, რის გამოც, მას ნორმალური ყოფის საშუალება არ ეძლევა. როგორც განსასჯელმა განაცხადა, ხშირი ჩხრეკა-დათვალიერების დროს მისი საკნიდან გაიტანეს ყველა ნივთი და მათ შორის ის დოკუმენტაციაც, რაც დასაცავად სასამართლოზე უნდა წარედგინათ.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე მოსამართლეთა კოლეგიამ, ზაზა მეიშვილის თავმჯდომარეობით, მოლაშვილის განცხადების შესწავლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს დაავალა, რომლებიც, თავის მხრივ, მომავალ პროცესზე სასამართლოს შედეგებს აცნობებენ.

განსასჯელის მეორე მოთხოვნა დარბაზიდან პროკურატურის კუთვნილი ვიდეოკამერის გატანას შეეხებოდა. განსასჯელის განმარტებით, ეს ჩანაწერები გენერალურ პროკურორთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან იშიფრება, რის შემდეგაც სასამართლო კოლეგიაზე ზეწოლა ხორციელდება. თუმცა, მოსამართლეებმა მოლაშვილის ეს მოთხოვნა, უსაფუძვლობის გამო, არ დააკმაყოფილეს.

სამაგიეროდ დაკმაყოფილდა განსასჯელის მესამე შუამდგომლობა, რომელიც იმ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე ინფორმაციის მიწოდებას შეეხებოდა, რომელიც მოლაშვილის წამების ფაქტთან დაკავშირებით 2004 წელს აღიძრა. მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით, ბრალდების მხარე ამ ინფორმაციას შემდგომ პროცესზე წარმოადგენს.



სულხან მოლაშვილი საკუთარი წამების მასალებს ითხოვს.

გუშინვე განსასჯელის ადვოკატებმა სოსო ბარათაშვილმა და შალვა შავგულიძემ სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით კონტროლის პალატის ამჟამინდელი თავმჯდომარის ზურაბ სოსელიას და ყოფილი თავმჯდომარის რეზო შავიშვილის გამოძახება მოითხოვეს. მაგრამ, დაცვის მხარეს ამ შუამდგომლობაზეც უარი ეთქვა.

**"მაკონტროლებელ ორგანოს სულხან მოლაშვილამდე რევაზ შავიშვილი ხელმძღვანელობდა, სულხან მოლაშვილის შემდეგ კი - ზურაბ სოსელია. სულხან მოლაშვილს ბრალი იმაში ედება, რომ იგი უკანონოდ ამოწმებდა ისეთ საწარმოებს, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არის შექმნილი. ასეთი საწარმოებია, მაგალითად, "საქართველოს რკინიგზა", "მადნეული", "ჭიათურმანგანუმი" და სხვები. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლაშვილს ამის უფლება არ ჰქონდა. თუმცა, იმავე საწარმოების შემოწმება შავიშვილის დროსაც ტარდებოდა და ახლაც ტარდება. შავიშვილისა და სოსელიას შესაბამისი ბრძანებები მათ შემოწმებაზე სასამართლოს მტკიცებულებების სახით წარვუდგინეთ. მოწმეების სახით მათი დაკითხვაც ამასთან დაკავშირებით მოვითხოვეთ, მაგრამ სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა",** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას შალვა შავგულიძემ.

საბოლოოდ გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ მოლაშვილის უდანაშაულობის დასამტკიცებლად საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენა დაიწყო, რაც მომავალ სხდომაზეც განახლდება; შემდგომი პროცესი კი სააპელაციო სასამართლოში 23 იანვარს ჩატარდება.

*24 საათი*

# მკვლელობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

პირველი გვერდიდან

როგორც კი სუსანა ბაბაიანმა კარი გააღო, დანამომარჯვებული სააკოვი გინებით შევარდა ბინაში. გორნევმა, თავის დაცვის მიზნით, სააკოვს ხელი დაუჭირა და სახეში მუშტი დაარტყა. სააკოვსა და გორნევს შორის გამართული ჩხუბისას ორივე წაიქცა. გორნევმა, თავდაცვის მიზნით, იატაკიდან აიღო მაგიდიდან გადმოვარდნილი საოჯახო დანა და სააკოვს მუცლის არეში დაარტყა. სააკოვი წამოხტა ფეხზე, გორნევმა კიდევ ორჯერ მოუქნია მას დანა და მიაყენა ორი ჭრილობა გულ-მკერდის არეში. ჩხუბში ჩაერივნენ მეზობლები, გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანა და დავით სააკოვი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი გარდაიცვალა. იური გორნევი კი პოლიციას ჩაბარდა.

გარდაცვლილს ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით, სააკოვის სიკდილი გამოიწვია მუცლის არეში მიყენებულმა დაზიანებამ; გულ-მკერდის არეში მიყენებული დაზიანება კი სასიკვდილო არ აღმოჩნდა და სხეულის მსუბუქ დაზიანებად ჩაითვალა.

იური გორნევს ბრალი დასდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობაში და ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ მას 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენი ადვოკატმა ლაშა ჭინჭარაულმა თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მოითხოვა. ადვოკატის მტკიცებით, იური გორნევმა მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, თბილისის საოლქო სასამართლომ იური გორნევს უფრო დაუმძიმა სასჯელი და, გარდაცვლილის მეუღლის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ამჯერად 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ადვოკატმა ლაშა ჭინჭარაულმა საოლქო სასამართლოს განაჩენი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გაასაჩივრა. მართლსაჯულების ბოლო ინსტანციამ საბოლოო განაჩენი გამოიტანა - იური გორნევი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

*24 საათი*

# იგორ გიორგაძის საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართება

სააგენტო "მედიანიუსის" ინფორმაციით, უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოში განმწესრიგებელი სხდომა გაიმართება. იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პარტიის "სამართლიანობის" აღმასრულებელი მდივანის გიორგი მეტრეველის განცხადებით, ექსმინისტრის დაცვის მხარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს გიორგაძის ძებნილად გამოცხადების დადგენილების გაუქმებისა და მის წინააღმდეგ აღძრული საქმის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა. მისივე თქმით, დაცვის მხარემ დღევანდელ სხდომაზე სასამართლოსგან უნდა მიიღოს პასუხი, შედგება თუ არა იგორ გიორგაძის დაუსწრებლად სასამართლო პროცესი.

29 აგვისტოს, 9 თებერვლის, მაისის ტერაქტის, გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილისა და გია ყარყარაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ბრალდებული იგორ გიორგაძე, უკვე 10 წელიწადია, რაც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილადაა გამოცხადებული. ჩამოთვლილი მძიმე დანაშაულებების გარდა, რომლებშიც იგორ გიორგაძეს ოფიციალურად ედება ბრალი, უშიშროების ყოფილი მინისტრი წლების მანძილზე საქართველოში მომხდარი ყველა სადესტაბილიზაციო აქტის დამგეგმავადაც სახელდებოდა.

მიუხედავად ამისა, შევარდნაძის ხელისუფლებას "დაუძინებელი მტრისა" და საქართველოს "გადამტრიალებლის", №1 ტერორისტად მონათლული იგორ გიორგაძის დაკავება-ექსტრადაციაზე ზრუნვით თავი არასდროს შეუწუხებია. გიორგაძის საქმე გენერალური პროკურატურის არქივში წლებია გამოკეტილია და ახლაც არავის გაახსენდებოდა, რომ არა - გიორგაძის მხარდამჭერთა ინიციატივა.

როგორც "სამართლიანობის" აღმასრულებელი მდივანი გიორგი მეტრეველი აცხადებს, 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული 12 პირის სასამართლო პროცესი გაიმართა და მათმა ჩვენებებმა ამ ტერაქტში გიორგაძის ბრალეულობა ვერ დაამტკიცა. მისივე ინფორმაციით, გიორგაძის წინაღმდეგ ჩვენებები არც სხვა 362 მოწმეს მიუცია.

სხვათა შორის, 29 აგვისტოს ტერაქტისთვის გასამართლებული 14 მსჯავრდებულიდან 12 მართლაც გათავისუფლებულია. ისინი სხვადასხვა დროს პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეიწყალა. გათავისუფლებულები არიან სხვა ტერაქტში ბრალდებულებიც - ზოგი შეიწყალეს, ზოგ მათგანს კი მოეხსნა ბრალდება, გამართლდნენ. თუმცა, რამდენიმე ბრალდებულმა, ზოგიერთმა მოწმემაც და დაზარალებულთა უმეტესობამაც იგორ გიორგაძე ტერაქტის ორგანიზატორად დაასახელა. სხვათა შორის, დაზარალებულთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბრალმდებელი, რომელიც იგორ გიორგაძეს მძიმე დანაშაულებებში სდებდა ბრალს, პირველ რიგში კი, გია ჭანტურიას მკვლელობაში, ედპ-ს ყოფილი ლიდერი, ამჟამად იგორ გიორგაძის ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც გახლდათ.

*24 საათი*

# ერთ თვეში - სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის გეგმა

გუშინ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის რეალიზების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი მმართველი ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ჯგუფის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე უძღვებოდა. იუსტიციის მინისტრის პოსტზე კოტე კემულარიას შეცვლასთან ერთად იგი ამ ჯგუფის სათავეშიც ჩაენაცვლა მას.

შეხვედრაზე განიხილეს მმართველი ჯგუფის ფარგლებში შექმნილი ცხრა ქვეჯგუფის მიერ რეფორმის განხორციელებისათვის ჩატარებული სამუშაო; ასევე, ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმის პირველი და საბოლოო ვარიანტის წარდგენის ვადებზე - კერძოდ, გადაწყდა, რომ 2006 წლის 15 თებერვალს ქვეჯგუფები სამოქმედო გეგმების პირველ ვარიანტს წარადგენენ, ხოლო 2006 წლის 30 მაისისათვის ამ გეგმების საბოლოო, კოორდინირებული ვარიანტი იქნება მზად. სამოქმედო გეგმაში აისახება ის პრინციპები, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაშია ჩამოყალიბებული.



შეხვედრა იუსტიციის სამინისტროში.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის რეალიზების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი მმართველ ჯგუფის სხდომაზე, ქვეჯგუფთა მოვალეობების შესაბამისად, განიხილეს საპოლიციო ორგანოებისა და დანაშაულის პრევენციის, პროკურატურის რეფორმის ადვოკატურისა და სამართლებრივი დახმარების სისტემის განვითარების, სასამართლო ხელისუფლების რეფორმის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის, სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეფორმისა და იურიდიული განათლების რეფორმის ქვეჯგუფების ხელმძღვანელთა მოხსენებები. მმართველი ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ რეფორმის სტრატეგია ზოგიერთი მიმართულებით უკვე ხორციელდება. შექმნილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, რომელიც რატომღაც, კარგა ხანია, ელოდება პარლამენტის სამსჯავროზე გატანას, როცა ამჟამად არსებულ კოდექსში ცვლილებების შეტანას საკანონმდებლო ორგანო ძალზე დიდ დროს უთმობს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის პროექტი, სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის პროექტი, იურიდიული განათლების შესახებ კანონის პროექტი. შეიქმნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი; ასევე, მიმდინარეობს საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტის პილოტური პროექტი და ა.შ.

სტრატეგიის რეალიზების პროგრამის შემუშავებაში, ევროკავშირის "სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვაში დახმარების პროექტის" ფარგლებში, მმართველ ჯგუფს ქართველი და უცხოელი ექსპერტები ეხმარებიან.

*24 საათი*

# აფხაზებმა გატაცებული ქართველი გაათავისუფლეს

აფხაზმა კრიმინალებმა თაგილონელი მალხაზ ოკუჯავა გაათავისუფლეს. აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებლის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ოკუჯავას გათავისუფლება მას შემდეგ მოხდა, რაც მისი ოჯახის წევრებმა თანხა გადაიხადეს. აფხაზი კრიმინალები ოკუჯავების ოჯახისგან 50 ათასი ლარის გადახდას მოითხოვდნენ. მალხაზ ოკუჯავა მათ 6 იანვარს გაიტაცეს; რაც შეეხება 14 იანვარს გალის რაიონის სოფელ თაგილონიდან გატაცებულ ვალერი გაბისონიას, გალის ქართული ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილის ბიძინა გაბისონიას განცხადებით, ვითარება უცვლელია - აფხაზი კრიმინალები, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, ისევ 50 ათას დოლარს ითხოვენ.

*მედიანიუსი*

CTC ESM CV
www.osgf.ge

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე თ ა

სახელი, გვარი.........................................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.............................................

საკონტაქტო ტელეფონი..............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე.

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99


ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812



## დავით კოვზირიძის სვეტი

### ფელიჩიტა, პიცა, ლამაზ-ლამაზი ბიჭები...

იტალიის, როგორც ქვეყნის მიმართ, ბავშვობიდანვე მქონდა სიმპათიები და ეს გრძნობა დღემდე მუშაობს. ამის უამრავი მიზეზიც მაქვს, ოღონდ იტალიის ნაკრები ამ სიაში არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება. მიუხედავად ამისა, ახლა სწორედ სკუადრა აძურაა ჩემი სვეტის მთავარი თემა - იტალია რიგით მესამეა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფავორიტთა ჩემეულ სიაში, რომლის ორ სამხრეთამერიკელ წარმომადგენელზეც უკვე ვიმასლაათეთ.

სად წავალ პირველად, თუკი ოდესმე იტალიაში მოვხვდი? სიცილიაზე და მხოლოდ სიცილიაზე! სკოლის პერიოდში, როცა, წესით, ქიმიის სახელმძღვანელოზე უნდა მეხალა თავი, მოულოდნელად კოზა ნოსტრასთან დაკავშირებულმა დოკუმენტურმა ლიტერატურამ გამიტაცა, რასაც დაემატა "ნათლიას" ყურებაში ამობრუნებული თვალები და საოცარი ინტერესი იმ ულამაზესი ბუნებისა და ჩახუჭუჭებული ქუჩების მიმართ, სადაც მსოფლიო კრიმინალისტიკამ აიდგა ფეხი. განა საინტერესო არაა იმ კუთხის მონახულება, სადაც ჯენარო გატუზოსნაირი ხეპრე და ერთგული ადამიანები იბადებიან?

თუმცა სიცილიასთან დაკავშირებით ერთი იმედგაცრუებაც მქონდა ქვეყანაში, სადაც ზემოხსენებულმა კრიმინალურმა გენმა გასული საუკუნის ოციან წლებში ფრთები გაშალა - ამერიკაში ყოფნისას მეგობრებთან ერთად იტალიურ პიცერიაში შევედი. შევუკვეთეთ პიცა, სახელად "სიცილია" და მაგრადაც შეგვეშალა, ასეთი უგემური ამერიკაშიც კი არაფერი გამისინჯავს, თუ არ ჩავთვლით ტკბილ ლობიოს. მდგომარეობა იმანაც გაამძაფრა, რომ "სიცილიაში" პირადად მე გადავიხადე 60 ამერიკული დოლარი.

იტალია სულ თავიდან იტალიურმა ზღაპრებმა შემაყვარა. გახსოვთ ზღაპრების მრავალტომეული? მონგოლური, ჩეხური, ინდური, რუსული, გერმანული ზღაპრები? მერე იყო რაფაელა კარა, ალ ბანოს და რომინას "ფელიჩიტა" და უცნობი შემსრულებლის "სემიჩიტაც" კი.

ზღაპრებისა და ესტრადის შემდეგ იტალიურ კინოზეც გადავერთე და წრფელი გრძნობით შემიყვარდა სოფი ლორენი, რომელსაც დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ ხელოვნური ამერიკელი არტისტი დედაკაცების გულის გასახეთქად.

დღემდე მიყვარს ძველი იტალიური კომედიების ყურება და ვალიარებ - ასეთი გემოვნებიანად სასაცილო და ბუნებრივად მხიარული პროდუქცია არასდროს არავის შეუქმნია.

ლამაზი ბუნება, ეშხიანი ქალები, ნიჭიერი ხალხი, საოცარი არქიტექტურა, მუსიკა, კინო, მხატვრობა, სამზარეულო, გრანდიოზული ისტორია. ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ ამ იტალიის ნაკრებს რა სჭირს, ვერაფრით გამოვიკვლიე.

ჩემთვის წარმოუდგენელია გულშემატკივრობა გუნდისა, რომლის მთავარი საფიქრალია ის, რომ მოწინააღმდეგეს თამაშის საშუალება არ მისცეს, თავადაც იწვალოს (ამ დროს სიამოვნების მიღება გამორიცხულია), მეტოქეც აწვალოს და მაყურებელიც. რამდენიმე წუთის წინ მეგობარმა, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება "აძურაზე" ნერვიულობას შეალია, მკითხა, რაზე წერო. იტალიურ ფეხბურთზე ლაპარაკი დავიწყეთ და ბოლოს გულახდილად გამომიტყდა - ძალიან დავიღალე ამათი გულშემატკივრობით. წარმოიდგინე, სულ ვღელავ, ვისაც არ უნდა ხვდებოდნენო.

მართლაც რომ მურტალი ამბავია. თითქოს ყოველთვის კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მწვრთნელებიც, იცოცხლე, ერთმანეთზე უკეთესი და ბრძენი, მაგრამ რად გინდა - პერმანენტულად უჭირს. უჭირს ბრაზილიასთან, ამერიკასთან, გვატემალასთან, რუსეთთან, საქართველოსთან. კი, ხშირად იგებს კიდეც, მაგრამ რაღაცნაირად მძიმედ, დაძაბულად, **არაიტალიურად**.

სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი. აქედან ორჯერ ქვის ხანაში და ბენიტო მუსოლინის დიდი დახმარებით, ერთხელაც 82-ში. დამსახურებულად, მაგრამ მაინც, ესპანეთში სხვა ნაკრები გახლდათ მშვენება და ამას იმიტომ ნაღდად არ ვწერ, რომ ბრაზილიის მოყვარული ვარ.

დარწმუნებული გახლავართ, იტალიელები ამ ზაფხულშიც ძველებურად გაგვაწვალებენ ყველას და იმაშიც ვერავინ გადამარწმუნებს, რომ მათ არც ამჯერად უწერიათ მსოფლიოს ჩემპიონობა. ერთადერთი, რითიც მარჩელო ლიპის მათემატიკური აზროვნების ნაყოფმა შეიძლება გაგვაოცოს, ბრაზილიელთა დამარცხება იქნება - მოქმედი ჩემპიონები ხომ ორგანულად ვერ იტანენ, როცა მათ თამაშში, ანუ სიამოვნების მიღებაში ხელს უშლიან. უშლიან ისე გამართულად და კმაყოფილებით, როგორც ეს იტალიის ნაკრებს სჩვევია. როგორც ეს კატენაჩოს, ამ საზიზღრობის პირველ პუნქტშია ჩაწერილი.

ფეხბურთზე შეყვარებული ქართველი გოგოშკებისა კი ჰალალად მესმის - ამდენი სიმპათიური ჯეელი არც ერთ ნაკრებში არაა.

ამას ნამდვილად ვერ წაართმევ.

*მომავალ სამშაბათამდე*

## მოკლედ

### ტარვერმა ტაისონი ვერ დაითანხმა

ნახევრად მძიმე წონითი კატეგორიის უძლიერესი მოკრივე ანტონიო ტარვერი აცხადებს, რომ მძიმე წონაში ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან მაიკ ტაისონთან შესაძლო შერკინებაზე მოლაპარაკებები უშედეგო გამოდგა. "მას ისეთი შანსი მივეცი, რომლის მიცემაც სხვებს არ უნდათ, - ამბობს ტარვერი, - ყველაფერში თვითონ არის დამნაშავე, მე კი მეტს ველარ მოვიცდი. კარიერა მაქვს გასაგრძელებელი. ტაისონი ახლა აღარავის აინტერესებს. არადა, მე მართლაც საინტერესო ორთაბრძოლის შანსს ვაძლევდი". როგორც ტარვერი ამბობს, ტაისონის მხრიდან უარის მიზეზი შესაძლო მოწინააღმდეგესთან ჰონორარის თანაბრად გაყოფა ყოფილა.

### შუმიმ ახალი "ფერარი" გამოსცადა

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა გუშინ ფიორანოში "ფერარის" ახალი ბოლიდი გამოსცადა, რომელსაც ფორმულა 1-ის გულშემატკივართათვის ოფიციალურად 24 იანვარს გამოამზეურებენ. "როიტერსის" ცნობით, შუმახერი "ფერარის" ახალი ვერსიის ტექნიკური პარამეტრებით კმაყოფილია.

### აფრინდა, აფრინდა, "წითელი ეშმაკი" აფრინდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" სპონსორმა ავიაკომპანიამ Air Asia-მ, თავისი ერთ-ერთი თვითმფრინავი "წითელი ეშმაკუნების" ფერებში გადაღება, ხოლო ბორტს ინგლისური კლუბის მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის, ფეხბურთელების უეინ რუნისა და კრიშტიანუ რონალდუს გამოსახულებები დაურთო. ინგლისური ტაბლოიდის The Sun-ის ცნობით, თვითმფრინავი, რომელსაც სახელად "წითელი ეშმაკი" დაანათლეს, რეისებს შორეულ აღმოსავლეთში შეასრულებს.

### დოკიჩი მამას გაეყარა

მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგნის ელენა დოკიჩის მამა - დამირ დოკიჩი აცხადებს, რომ საკუთარი ქალიშვილისგან ერთგვარი "გაყრის შეთანხმების" საფუძველზე მილიონი დოლარი მიიღო. ეს ინიციატივა თავად 23 წლის ჩოგბურთელისგან მოდის, რომელიც ამჟამად WTA-ის რეიტინგში 370-ე ჩოგანია. საგულისხმოა, რომ დოკიჩი საკუთარ წარუმატებლობებში მამას ადანაშაულებს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სკანდალები. ერთ-ერთი ასეთი სკანდალი 2001 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მოხდა, რის გამოც ელენა იძულებული გახდა დროზე ადრე დაეტოვებინა ტურნირი.

## ჩოგბურთი

# ვინუსი სამშობლოში გაისტუმრეს



*პირონკოვამ უფროსი უილიამსი სამ სეტში დაამარცხა - 2:6, 6:0, 9:7.*

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა, რომ პირველი სენსაცია დაფიქსირდა. ქალთა თანრიგში ბულგარელმა სვეტლანა პირონკოვამ სამ სეტში დაამარცხა (2:6, 6:0, 9:7) ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მეათე ნომარად განთესილი ამერიკელი ვინუს უილიამსი.

კაცმა რომ თქვას, ვინუსს დებიუტში საგანგაშო არაფერი ემუქრებოდა. პირიქით, მძლავრი მოწოდებებით სრულიად დათრგუნა ახალგაზრდა მეტოქე, ორი მოწოდებაც აართვა და პირველ სეტში 6:2 გაიმარჯვა. შემდეგ თითქოს გამოცვალესო, მომდევნო სეტი ამერიკელმა აბსოლუტურად ჩააგდო. მას არც მოწოდება გამოსდიოდა, არც ხაზზე თამაში და არც ბადესთან შეტევა. პირონკოვამ კი პირიქით, უპირატესობა შეიგრძნო და სასტიკი მარცხი აგემა უაღრესად ტიტულოვან მეტოქეს - 6:0.

მატჩის მთელი დრამა ამის შემდეგ, გადამწყვეტ მესამე სეტში გათამაშდა. ტაი-ბრეიკზე ამერიკელს აშკარა ნერვიულობა დაეტყო. ის მობილიზებას ველარ ახერხებდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. საკმარისია ითქვას, რომ ვინუს უილიამსმა მატჩის განმავლობაში 65 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამდენი შეცდომის ფონზე კი, ბუნებრივია, შავკანიან ამერიკელს გამარჯვების შანსი არ ექნებოდა. პირონკოვამ გადამწყვეტი მე-9 გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა და მეორე წრეში გავიდა.

სიმართლე რომ ითქვას, სპეციალისტები ვინუსისგან ასეთ ამჩატებას არ მოელოდნენ. ის ტურნირისთვის ოპტიმალურ ფორმაში მივიდა. სპეციალისტთა ვარაუდით, პრობლემები უფრო ვინუსის უმცროს დას, სერენას უნდა შეჰქმნოდა, რადგან მას უკვე დიდი ხანია ქრონიკულად აწუხებს მუხლი, მაგრამ გათამაშებას სწორედ ვინუსი გამოეთიშა.

თუმცა, ეს არ არის დღის ერთადერთი სენსაცია. მწვანე კონტინენტს დაემშვიდობა ტურნირის მე-9 ნომერი რუსი ელენა დემენტიევა. გერმანელმა ჯულია შრუფმა ორ სეტში დაამარცხა რუსი ქალბატონი (7:5, 6:2) და ახლა მეორე წრეში ასევე რუს ელენა ვესნინას შეხვდება, რომელმაც შარშანწინ თბილისის ტურნირი მოიგო.

| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 4) - დანაი უდომჩოკი (ტაილანდი) | 6:2, 6:2, 1:6, 6:7, 6:1 |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 7) - კრის გუჩიონე (ავსტრალია) | 7:6, 6:4, 7:6 |
| რობი ჯინეპრი (აშშ, 13) - იურგენ მელცერი (ავსტრია) | 6:1, 6:4, 6:2 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა, 8) - რაზვან საბაუ (რუმინეთი) | 6:2, 0:5 |
| გილიერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) - ტეილორ დენტი (აშშ, 27) | 7:6, 6:3, 7:6 |
| ანდრეი პაველი (რუმინეთი) - კარლოს მოია (ესპანეთი, 32) | 6:4, 7:6, 4:6, 3:6, 6:4 |
| ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 10) - სირილ სოლნიე (საფრანგეთი) | 6:1, 7:6, 6:4 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 18) - აგუსტინ კალიერი (არგენტინა) | 6:4, 4:6, 6:3, 6:4 |
| ჯეიმს ბლეიკი აშშ, 20) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 6:2, 6:3, 4:6, 7:6 |
| სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) - ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) | 4:6, 6:2, 6:3, 6:0 |
| უესლი მუდი (სარ) - ოსკარ ჰერნანდესი (ესპანეთი) | 3:6, 7:6, 6:4, 6:2 |
| იეუ-ცზუ ვანგი (ტაიპეი) - მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) | 6:2, 7:5, 4:1 |
| დავიდ ფერერი (ესპანეთი, 11) - ფლორიენ სერა (საფრანგეთი) | 4:6, 6:3, 6:1, 6:4 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) - ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) | 6:4, 7:6, 6:3 |
| ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) - რაინერ შუტლერი (გერმანია) | 3:6, 6:3, 7:6, 6:3 |
| ჯილ სიმონი (საფრანგეთი) - ნიკოლას მასუ (ჩილე) | 7:6, 6:2, 3:6, 4:6, 6:3 |
| დანიელე ბრაჩიალი (იტალია) - იენ-სუნ ლუ (ტაიპეი) | 6:1, 7:6, 6:2 |
| ჟან-კრისტოფ ფორე (საფრანგეთი) - ალექსანდერ ვასკე (გერმანია) | 7:6, 6:3, 7:6 |
| იან ჰერნიჩი (ჩეხეთი) - ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) | 2:6, 6:3, 7:6, 6:2 |
| ჟულიენ ბენეტი (საფრანგეთი) - მარკოს დანიელი (ბრაზილია) | 6:2, 6:1, 3:0 |
| ხავიერ მასილე (ბელგია) - მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 7:5, 5:7, 6:4, 6:2 |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) | 7:6, 7:5, 6:0 |
| ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) - ლუკას დლუჰი (ჩეხეთი) | 7:5, 6:2, 6:4 |
| იარკო ნიემინენი (ფინეთი, 26) - მარკ კიმიჩი (ავსტრალია) | 6:2, 6:3, 6:1 |
| ტომას ბერდიჩი (ჩეხეთი, 19) - ბობი რეინოლდი (აშშ) | 7:5, 6:3, 6:7, 6:1 |
| ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 31) - ტომას ბერენდი (გერმანია) | 6:2, 7:5, 6:3 |
| რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი, 17) - ბიორნ რენკვისტი (შვედეთი) | 6:1, 6:2, 6:2 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - ვინსენტ სპადეა (აშშ) | 3:6, 6:0, 6:2, 6:3 |
| დენის გრემელმაიერი (გერმანია) - იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 3:6, 6:2, 6:0, 6:1 |
| **ქალები:** | |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - კეისი დელაკრუა (ავსტრალია) | 6:2, 6:1 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - სანდრა კლოზელი (გერმანია) | 6:2, 6:1 |
| სვეტლანა პირონკოვა (ბულგარეთი) - ვინუს უილიამსი (აშშ, 10) | 2:6, 6:0, 9:7 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) - მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) | 6:2, 6:1 |
| ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) - ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 3:6, 7:6, 6:1 |
| ჯულია შრუფი (გერმანია) - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 9) | 7:5, 6:2 |
| ნადია პეტროვა (რუსეთი, 6) - სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) | 6:2, 6:1 |
| დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი, 17) - შაორი ობატა (იაპონია) | 3:6, 6:3, 6:0 |
| აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) - დალი რანდრიატეფი (მადაგასკარი) | 6:3, 2:6, 6:1 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 14) - ლორა ბრედმორი (ავსტრალია) | 6:1, 6:3 |
| კონჩიტა მარტინეს-გრანადოსი (ესპანეთი) - აი სუგიამა (იაპონია, 26) | 6:4, 6:3 |
| ჰანა სრომოვა (ჩეხეთი) - აკიკო მორიგამი (იაპონია) | 3:0 |
| ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) - შუაი პენგი (ჩინეთი) | 6:4, 6:1 |
| ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) - მაშონა ვაშინგტონი (აშშ) | 6:1, 6:2 |
| მარია კირილენკო (რუსეთი, 25) - ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) | 6:1, 3:1 |
| ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 18) - ლიზა რეიმონდი (აშშ) | 7:6, 7:6 |
| გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) - ემანუელე გალიარდი (შვეიცარია) | 6:4, 6:3 |
| კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) - სტეფანი ფორეტცი (საფრანგეთი) | 6:4, 6:3 |
| კამილ პინი (საფრანგეთი) - მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) | 2:6, 7:5, 6:4 |
| ელენა ვესნინა (რუსეთი) - ტინგ ლი (ჩინეთი) | 6:2, 6:3 |
| ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) - კლარა კუკალოვა (ჩეხეთი, 29) | 6:1, 5:7, 6:2 |
| კაროლინა სპრემი (ხორვატია) - ალონა ბონდარენკო (უკრაინა) | 6:4, 6:2 |
| სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) - ანაბელ მედინა-ჰარიგესი (ესპანეთი, 28) | 6:3, 6:4 |
| ოლგა სავჩუკი (უკრაინა) - ზიპორა ობზილერი (ისრაელი) | 6:1, 3:6, 6:4 |
| მარია-ელენა კამერინი (იტალია) - იონ მაუსბურგერი (ავსტრია) | 6:4, 6:2 |
| მარტინა მიულერი (გერმანია) - ჯარმილა გაჯდოსოვა (სლოვაკეთი) | 1:6, 6:2, 6:3 |
| მარა სანტანჯელო (იტალია) - ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი, 24) | 6:4, 4:6, 6:4 |
| ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) - ლუდრეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) | 6:2, 7:6 |
| ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 23) - ჯილ კრეიბასი (აშშ) | 6:2, 4:6, 6:4 |
| არანტა პარა-სანტონია (ესპანეთი) - ტატიანა პანოვა (რუსეთი) | 4:6, 7:5, 6:1 |
| ლორა გრანვილი (აშშ) - კეტრინ ვერლე (გერმანია) | 5:7, 6:2, 6:0 |

## ფეხბურთი

# XX საუკუნე: ხიე "ფახთაქორს", XXI საუკუნე: ხიე "დინამოს"

მიხეილ აბაიშვილი

მოსკოვში გამგზავრებამდე თბილისის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ განაცხადა, რომ თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირს იგი განიხილავდა, როგორც საგაზაფხულო სეზონისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს. ამ გამონათქვამით "დინამოს" დამრიგებელმა ერთგვარად თავი დაიზღვია შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან. თუმცა, მანვე აღნიშნა, რომ "დინამო" მოსკოვში ისეთ თამაშს აჩვენებდა, როგორიც ამ გუნდის მდიდარ ტრადიციას და სახელს შეეფერებოდა. ეს სიტყვები დღეს უკვე სასაცილოდ ჟღერს, სატირალი რომ არ იყოს.

მოსკოვის ცსკა-ს დუბლშემადგენლობასთან დამსახურებული წაგების შემდეგ "დინამო" "ფახთაქორთანაც" პირწმინდად დამარცხდა. ანგარიში 1:2 სრულად ვერ ასახავს "ოლიმპიისკის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე "დინამოსა" და "ფახთაქორს" შორის განვითარებულ მოვლენებს. სრული ქაოსი დაცვაში, პასიური ნახევარდაცვა და სტატიკური თავდასხმა - ჯამში თამაშის საზიზღარი ორგანიზაცია, რაზეც თვალის დახუჭვა უკვე აღარ შეიძლება.

და მაინც, მოდით, ერთი წუთით თვალი დავხუჭოთ ამ სირცხვილსა და საშინელ თამაშ-შედეგზე, რომლითაც "დინამომ" ჯერ საკუთარ ტრადიციებს და სახელს გადაასხა ლაფი, შემდეგ კი გულშემატკივარს კიდევ ერთხელ დასწყვიტა გული. ვთქვათ, რომ გუნდი ფორმაში არ არის, ახლა იწყებს მოსამზადებელ ეტაპს და გაზაფხულიდან ყველაფერი მწყობრში ჩადგება. მაგრამ რა ჩადგება მწყობრში? უფრო ზუსტად, საინტერესოა, რას ფიქრობენ "დინამოს" მესვეურები, რას ითხოვს "დინამოს" ქომაგთა არმია, ქართული სპორტული საზოგადოება გუნდისგან? ნუთუ ჰგონიათ, რომ საქართველოს ჩემპიონატად წოდებულ საწყალობელ ტურნირში გამარჯვებაზე ვოცნებობთ? ან საქართველოს თასის აღება მიგვაჩნია მეტ-ნაკლებად ღირებულ წარმატებად?

დღეს რუსეთმა და უკრაინამ ახალი საფეხბურთო "სავაჭრო ნიშნები" შექმნეს - "ლოკომოტივი", ცსკა, "ზენიტი", "შახტარი", "დნეპრი", ხოლო ჩვენ - არსებულ ერთადერთ ბრენდს ვკარგავთ (თუ უკვე არ დავკარგეთ). რაღა უნდა ვთქვა, როცა "ფახთაქორები" საფეხბურთო გაკვეთილებს გვიტარებენ?

ძალზე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველაფერი მთავარ მწვრთნელს - კახა ცხადაძეს ან "დინამოს" სპორტულ ხელმძღვანელებს - ბუბა ტყავაძესა და ამირან ლიბრაძეს დავაბრალო. საკუთარი წილი პასუხისმგებლობა მათ კისერზეცაა, რადგან ვერავინ დამაჯერებს, რომ თუნდაც არსებულ ვითარებაში უკეთესი შედეგის ჩვენება არ შეიძლება. მაგრამ საუბარია ოდნავ უკეთესზე, ვთქვათ, იმავე "ფახთაქორის" დამარცხებაზე და არა მეტზე. მთავარი პასუხი ალბათ გუნდის მეპატრონისგან ბადრი პატარკაციშვილისგან უნდა მივიღოთ.

ეს ცნობილი ბიზნესმენი "დინამოს" მშველელად გუნდის არსებობის ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდში მოევლინა. გაჩანაგებული საწვრთნელი ბაზა, კლუბს მიტმასნებული კრიმინალები, სახელმწიფოსა და კერძო პირების ვალები, სამარცხვინო სპორტული შედეგები - აი, ასეთ პირობებში ჩაიბარა პატარკაციშვილმა "დინამო" და საწყის ეტაპზე ყველა პრობლემა მოუხსნა: ბაზა მაღალ დონეზე გარემონტდა, ვალები გაისტუმრა, გუნდს კრიმინალები ჩამოშორდნენ, დაიდო განვითარების პროგრამა და მაღალი კვალიფიკაციის უცხოელი მწვრთნელის ივო შუშაკის ხელში გუნდს საგრძნობი პროგრესი დაეტყო. ყოველივე ამის გამო პატარკაციშვილს მადლობაზე მეტი ეკუთვნის. მაგრამ მერე რა მოხდა? შუშაკი გაუშვეს, ფეხბურთელები გაყიდეს, სპორტული შედეგები კატასტროფულად დაეცა და პერსპექტივა დიდ, მრგვალ ნულიანს გაუტოლდა. ამბობენ, პატარკაციშვილმა გუნდზე იმიტომ აიცრუა გული, რომ ხალხმა, რომელსაც "დინამოს" მართვა ჩააბარა, ფულის კეთება დაიწყოო. ბრალდება ბრალდებად, მაგრამ გუნდი რა შუაშია? რატომ ისჯება "დინამო" და რატომ ვისჯებით ჩვენ - გულშემატკივრები?

"დინამო" კი სულაც არ არის ერთი კონკრეტული ადამიანის. ეს გუნდი თქვენი, ჩემი, მთელი საქართველოსია. ასე რომ, როცა ასეთ სათუთ რამეზე იღებ პასუხისმგებლობას, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ბევრისთვის ეროვნული საგანძურის მსგავსი ცნებაა, ღვიძლი შვილივით უნდა მოუარო და არა მხოლოდ სპორტულ ასპექტში.



*"დინამო" ბოლო წლებში სამჯერ დაიშალა.*



# ხელოვნება შრეებით და ფენებქვეშ

## ქართველი მხატვრის წარმატება კორკ სტრიტზე

სოფო კილასონია

"კორკ სტრიტი 27", ეს ლონდონური მისამართია გალერეისა, რომელშიც 12 დეკემბერს ქართველი მხატვრის მამუკა მიქელაძის გამოფენა გაიხსნა. ლონდონის ამ უბანში გამოფენა მხოლოდ განსაკუთრებულად რჩეულთა ხვედრია და როცა წარმატებით მთავრდება მსგავსი მოვლენა, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად გამახვილებულია.

ერთობ პრესტიჟულ კორკ სტრიტზე, რომელიც არცთუ ისე მასშტაბური ქუჩაა, დაახლოებით ათი გალერეა უნდა იყოს განთავსებული. ისინიც მომცრო ზომისანი, მაგრამ ორსართულიანები. გალერეებს, რომლებშიც მხოლოდ განსაკუთრებული ექსპოზიციები ეწყობა, მხოლოდ მოწვეული სტუმრები თუ მასპინძლობენ. ხელოვნების უბანს, ყველაფერთან ერთად, დიდი ისტორიაც ჰქონია. მას, სხვა თუ არაფერი, კლასიკოსები საკუთარ რომანებში მოიხსენიებენ. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამაზე უკეთესს მხატვარი ვერ ინატრებდა...

მამუკა მიქალაძე იმ მცირერიცხოვან არტისტთა რიგს მიეკუთვნება, ვინც საზღვარგარეთ გასვლებსა და შემოქმედებით პროცესებში მონაწილეობის დეფიციტს არ უჩივის. მეტიც, მის ნამუშევრებს ყველაზე ნაკლებად თბილისში იხილავთ, თუმცა, ამასაც აქვს თავისი მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ მხატვარს არაერთ ევროპულ ქალაქში წარმოუდგენია საკუთარი ქმნილებები და არაერთ აქცია-გამოფენაში მიუღია მონაწილეობა, ლონდონში გამართული მისი პერსონალური გამოფენა მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენაა. პირველ რიგში იმიტომ, რომ მხატვრის 30 ტილო უეცრად კულტურულ ავანგარდში მოხვდა და მაღალი დონის ექსპერტთა მზერას დიდი წარმატებით გაეთამაშა. მეორეც იმიტომ, რომ ამ ავანგარდში ქართველი მხატვრის პერსონალური გამოფენა მოვლენაა და ამ საკითხს დიდი კონკრეტიზაცია სულაც არ სჭირდება. თუმცა, იბადება კითხვა: როგორ იპოვა "კორკ სტრიტის 27"-მა ქართველი მხატვარი, როგორც მისი ახალი ინტერესის სფერო? მაგრამ არ მინდა გამომრჩეს ყველაზე მთავარი. შვიდდღიანი გამოფენის შემდეგ მხოლოდ ამაღლებული განწყობა დარჩა. ეს კი იმიტომ, რომ მუდამ გაწონასწორებულ ლონდონელთა უმრავლესობამ მიქელაძის ნახატების წინაშე თურმე ბუნებას უღალატა და გამოფენას ისეთი გამოხმაურება ჰქონდა, რომ ამის შესახებ საუბარი მხატვარს ძალზე ეუხერხულება.

დეკემბერში გამართული გამოფენის ისტორია ერთი თვის წინ არ დაწყებულა. ჯერ კიდევ 2003 წელს გაიცნო მხატვარმა ადამიანი, რომელმაც ქართველ ხელოვანს ჯერ მეგობრობა, შემდეგ კი თანამშრომლობა შესთავაზა. ალფრედ კომფელდი ის მეცენატი გახლავთ, რომელმაც რამდენიმე ნამუშევრის შეძენის შემდეგ მისი რჩეული მხატვრის ბევრად უფრო რჩეული საზოგადოებისთვის გაცნობა გადაწყვიტა. თუმცა ინგლისელ ბიზნესმენს ლონდონში მცხოვრები ჟურნალისტი და არტ-კრიტიკოსი გიორგი ლალიაშვილიც გვერდით ედგა.

**მამუკა მიქელაძე**: "ჩემი ნამუშევარი შემთხვევით ნახა. შემდეგ ისე დაინტერესდა, გიორგი ლალიაშვილთან ერთად ჩამოვიდა ჩემს გამოფენაზე. დროდადრო ჩემს ნამუშევრებს ყიდულობდნენ როგორც ფრედ კომფელდი, ისე მისი მეგობრები. ასე რომ, ეპიზოდური ურთიერთობა გვქონდა. მერე ჩემი შემოქმედებით დაინტერესდა. მაშინ გადაწყვიტა, რომ რაღაც განსაკუთრებული გაეკეთებინა. საერთოდ, გამოფენები მქონდა, მაგრამ პერსონალური ევროპაში არ მქონია. ბოლოს დაგეგმა მოეწყო კარგი გამოფენა. გამგზავრება დიდ პრობლემებთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რამდენიმე ადამიანი ძალიან დამეხმარა როგორც ინგლისიდან, ისე ქალბატონი ევა ბერგერი, ავსტრიული ავიახაზების მფლობელი... ერთი კვირით ადრე მომიხდა ჩასვლა. იქ დამხვდა ჩვენი თანამემამულე მამუკა ბლიაძე, რომელიც ლონდონში მოღვაწეობს. ისიც დამეხმარა. ვგულისხმობ არა მხოლოდ მატერიალურ დახმარებას, არამედ მორალურსაც... ყველაფრის ორგანიზება გალერეამ იკისრა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში გამოფენების ნაკლებობას არ ვუჩივი, ჩემთვის ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო."

გამოფენაზე ძირითადად ახლად შექმნილი ოცდაათი ტილო იყო. უმცირესობაში მოხვდნენ ის ნამუშევრები, რომლებიც მხატვარმა რამდენიმე წლის წინ დახატა, თუმცა, ისინი გარკვეულწილად საეტაპო აღმოჩნდა მისი ხელოვნებისთვის. ძალიან სასიამოვნო სიტყვიერი შეფასების გარდა, საზოგადოების კმაყოფილება გაყიდული ნამუშევრების სიმრავლითაც დასტურდება. ის, რაც არ გაყიდულა, ლონდონის გალერეის კოლექციაში დარჩა.

**- ევროპაში გასვლა ქართველი მხატვრებისთვის არც ახლაა იოლი, მაგრამ ადრე გაცილებით ძნელი იყო. მენეჯერი და კურატორი რომ არ გეყოლებათ, ვიცი. როგორ იქცევა ამ შემთხვევაში მხატვარი?**

- სამწუხაროდ, ეს კულტურა ჩვენში არ არის. ვერც ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ვხედავ. ჩვენ გავდივართ და რაღაცას წარმოვაჩენთ, მაგრამ, ფაქტობრივად, ველური ფორმებით. ამიტომ სერიოზული წარმატების შანსი თითქმის არ არსებობს. წარმოიდგინეთ, რომ კარი შემოაღოს ნებისმიერმა დიდმა და ძალიან კარგმა მხატვარმა და თავისი ნამუშევარი შემოგთავაზოთ თუნდაც სიმბოლურ ფასად. იფიქრებთ, რომ თუ გინდათ, თქვენითაც მოახერხებთ მასთან მისვლას და ეს წინადადებები სრულიად ზედმეტია. ამიტომაცაა, რომ აუცილებელია აგენტი, მენეჯერი, ვინც ამას წარადგენს - კაცი, ვისაც ეცოდინება და ვინც მოინდომებს რაღაც ფორმით წარადგინოს ესა თუ ის ხელოვნება. დასავლური საზოგადოება ამას მიჩვეულია, მით უფრო დღეს, როცა ნებისმიერ პროდუქციას - წიგნი იქნება ეს, ნახატი თუ სხვა რამ, სჭირდება წინასწარ მომზადება, რეკლამა, გარკვეულ კონტექსტში მოქცევა.

1989-90 წელი იყო, როცა დიდი ინტერესი გაჩნდა პოსტსაბჭოთა ხელოვნებაზე. მაშინ ორივე მხარე ჩამოუყალიბებელი იყო - ისინიც და ჩვენც. მოთხოვნილება იყო სოცარტზეც, შედარებით ავანგარდულზეც. მოკლედ, ყველაფერს იძენდნენ.



*მამუკა მიქელაძე.*

**- მაშინ თუ ერთიანდებოდით რომელიმე მხატვრულ ჯგუფებთან, ზოგადად თაობებს თუ წარმოადგენდით?**

- რომელიმე თაობას ვერ მივაკუთვნებდი თავს. მე მგონი, მარტო ვმუშაობდი. ჩემს თავს ვერ მივაკუთვნებ ვერც რომელიმე სტილს და ვერც იმას დავაკონკრეტებ, როგორია და რას წარმოადგენს ის, რასაც ვქმნი. ეს ალბათ თქვენი საქმეა...

■ ■ ■

მამუკა მიქელაძე აშკარად არ მიეკუთვნება იმ მხატვართა რიცხვს, ვინც საკუთარ თუ სხვის ხელოვნებას თეორიულ ასპექტში განიხილავს, ანდა ბუნებრივად არსებულ საკუთარ მოსაზრებებს სიტყვიერად გადმოგვცემს. ყველაფერ ამას ის ალბათ აკადემიის სტუდენტებს მაინც უამბობს, რომლებსაც უკვე კარგა ხანია ასწავლის და რითიც ძალიან კმაყოფილიც ჩანს. მაგრამ ჩვენთან მაინც სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. ამაში არაფერია გასაკვირი. მართალი თქვა: ეს საქმე პირველ რიგში იმ ადამიანების გასაკეთებელია, ვისაც მისი ნამუშევრები აინტერესებს, ვისაც იმ ემოციის სიტყვიერი ახსნა სურს, რომელსაც მიქელაძის ტილოებიდან იღებს. ემოცია კი მათგან ნამდვილად დიდი მოდის. მოდის ძალიან მძაფრად, მკაფიოდ, თუმცა, არავითარ შემთხვევაში აგრესიულად, ზედმეტად.

დასაწყისში დიალოგი ვახსენე. ახლა ეს სიტყვა უნდა გავიმეორო. თუმცა, არა იმიტომ, რომ სტერეოტიპი მაინტერესებს. მაგალითად, როგორია ურთიერთობა მაყურებელსა და ნახატს შორის. არა, უბრალო რამის თქმა მინდა. მხატვრის სახეები იმდენად გასაგებად მეტყველებენ, იმდენად ზუსტად მოგმართავენ, რომ თითქოს დიალოგისთვის გეძახიან.

პირველი, რასაც ნებისმიერი მნახველი შეამჩნევს, ის ფერადოვნებაა, რომლითაც მამუკა მიქელაძის მხატვრობა ხასიათდება. და ყველა, ვინც ამას იტყვის, მართალი იქნება. მაგრამ კიდევ არის შრეები. შრეები პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ფორმაზე დადებული ფორმა, გეომეტრიულ-სიბრტყობრივ ლაქაზე დადებული სახე-სიმბოლო, სიბრტყეებისა და მათგან ამოსული მოცულობების მონაცვლეობა-ტანდემი. ფერზე ფერი, ფენაზე ფენა. კომპოზიცია ყოველთვის მდიდარი. მაგრამ უფრო რომ დავხვეწოთ ეს ქაოსური მსჯელობა, ტილო - ყოველთვის მსუყე, მაგრამ არასდროს დამძიმებული, არასდროს ჩაკარგული. კონტრაპუნქტების აქეთ-იქით თამაში და ფერადოვანი აქცენტების მონაცვლეობა მაინც ზუსტია და კონკრეტულია მთავარიც და მეორეხარისხოვანიც. მხატვარი, რომელიც სასურათო სიბრტყეს მუდამ ავსებს და ტვირთავს, სულ უფრო და უფრო ამძაფრებს ენას, რომელსაც ფერწერული ენა ჰქვია. მამუკა მიქელაძეს, რომელიც ნაყოფიერ და შრომისმოყვარე მხატვრად უნდა ჩავთვალოთ, ძალიან სწრაფად განუვითარებია ტემპები იმ პროცესისა, რომლითაც საკუთარი მხატვრობით მეტი სიცხადისკენ, მეტი მკაფიოობისკენ და ჩამოყალიბებული სისტემისკენ მიდის. ამიტომაც არის, რომ სულ მცირე გამოცდილების მქონე მაყურებელი ძალიან იოლად ამჩნევს 2000 წლამდე და მას შემდეგ შექმნილ ტილოებს.

რატომ მომწონს მისი მხატვრობა? ამაზე შემიძლია ბევრი ვილაპარაკო. ასე რატომ მოიხიბლნენ ევროპელები? აქ კიდევ მეტის ვარაუდი შეიძლება. მაინც რა სიმძაფრით გადის საზღვარი ტრადიციებსა და ავანგარდს შორის მიქელაძის მხატვრობაში? სად არის ფერი და როდის ხდება მთავარი კონკრეტული მონახაზები? ვინ არიან ეს სახეები - შუა საუკუნეებიდან და ფიროსმანიდან წამოსული ლეგენდები თუ სულიერებისა და თანამედროვეობის გაბრძოლების მორიგი ნიშნები? შესაძლოა ერთიც, მეორეც, მესამეც... მაგრამ შესაძლოა არც ერთი. ბატონ მამუკას მაინცდამაინც არ სჯერა თეორეტიკოსების ვარაუდებისა ხელოვნებათმცოდნეობაში, მათი ახსნა-განმარტებებისა. მაინც ეჭვობს, რომ ყველაფერი სულ სხვა მიზნითა და სულ სხვა მიზეზებით იქმნებოდა, რომელსაც ჩვენ ბოლომდე მაინც ვერ გავიგებთ. მაგრამ ყველაფერს, მით უფრო ამ დაუზუსტებელ კითხვებს, ეკარგება აზრი, თუ თავად არ იხილე მხატვრობა, რომელიც თავისი ზომიერი, დახვეწილი თამაშით რაღაც მომენტში ყველაზე მთავარს, მხატვრული გულწრფელობის შეგრძნებას იწვევს და რომელიც სიბრტყე-მონახაზებში არსებული სახე-ნიშნებით ძალიან ფაქიზად, მაგრამ მაინც ძალიან მკაფიოდ და ზუსტად მეტყველებს, ძალიან ბევრს ამბობს, მაგრამ ამავდროულად, ძალიან ბევრ სალაპარაკოს გვიტოვებს.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს აუქციონს

## შავ ზღვაში ქაფშიის თევზჭერის უფლების (ლიცენზიის) მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების შესახებ

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება (ან სამთავრობო დაწესებულება) | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონის კონკრეტული ობიექტი | შავი ზღვის ქაფშია -10000ტ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | 1000, 500,100 ტონიან ლოტებზე აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ა/წ 17 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით და აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 16 თებერვალს 11 საათზე.<br><br>საქართველოს გარმოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.N6 (ორთაჭალა) |

აუქციონზე გამოსატანი ქაფშიის ქვოტა წარმოადგენს 10 000 ტონას, რომელიც დაიყოფა 33 ლოტად - მათგან:

ლოტის დასახელება   რაოდენობა   საწყისი ფასი   "ზე"- ოდენობა

- ლოტი ა.   1000 ტ   1000 ლარი   "ზე" -200 ლარი
- ლოტი ბ.   1000 ტ   1000 ლარი   "ზე" -200 ლარი
- ლოტი გ.   1000 ტ   1000 ლარი   "ზე" -200 ლარი

- ლოტი ა.   500 ტ   500 ლარი   "ზე" -100 ლარი
- ლოტი ბ.   500 ტ   500 ლარი   "ზე" -100 ლარი
- ლოტი გ.   500 ტ   500 ლარი   "ზე" -100 ლარი
- ლოტი დ.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი ე.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი ვ.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი ზ.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი თ.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი ი.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი
- ლოტი კ.   500 ტ   500 ლარი   "ზე"- 100 ლარი

- ლოტი ა.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ბ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი გ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი დ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ე.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ვ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ზ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი თ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ი.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი კ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ლ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი მ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ნ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ო.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი პ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ჟ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი რ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ს.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი ტ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი
- ლოტი უ.   100 ტ   100 ლარი   "ზე"- 20 ლარი

აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე წარმოადგენს საწყისი ფასის 10%.

"ზე" გადახდის ქვითარი თან უნდა ერთვოდეს განცხადებას აუქციონში მონაწილეობისთვის.
"ზე"- გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:
**ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ანგარიშის N200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000.**

შენიშვნა: "ზე" გადახდილ უნდა იქნეს უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტის მიერ.

სულ 33 ლოტი;

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია: | განცხადება, სადაც აღნიშნულია ლოტის დასახელება და რაოდენობა.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც აუცილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში<br>ბ)ფიზიკური პირისათვის (საქართველოში მაცხოვრებელი)იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.<br><br>ვ). "ზე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი<br><br>**შენიშვნა*** 1. აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით სამინისტროში განცხადება შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ ან ფიზიკურ პირების მიერ.<br>2. თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით. ამასთან სარგებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განხორციელებული უნდა იყოს ამ აუქციონის გამოცხადებამდე. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.<br><br>**შენიშვნა:** გამარჯვებული ვალდებულია ასევე ლიცენზიის მიღებამდე წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, რომელიც ერთ ტონა ქაფშიაზე შეადგენს 25 ლარს. |

გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.
თევზჭერისათვის განკუთვნილი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების დასაშვები მოცულობა დგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
გთხოვთ, ინფორმაციისთვის დამატებით მიმართოთ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თბილისი გულუას ქ.N6 (ორთაჭალა) ტელ 275760

| | |
|---|---|
| თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადაა | ლიცენზიის მიღებიდან 2006 წლის 1 მაისამდე. |

# პოლიტიკური ნაპერწკლები სომხეთში

*სომხეთის კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის გადადგომამ მმართველი კოალიციის რიგებში მისი პარტიის პოზიციები შეარყია.*

კარინ ასატრიანი,
ერევანი

სომხეთის კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, პარტია ,,ორინაც ერკირის" (,,კანონიერი სახელმწიფო") წევრმა ჰოვიკ ჰოვეიანმა გადადგომის შესახებ განცხადება ,,სომხეთის ელექტროხაზების" ერთ-ერთ განყოფილებაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გააკეთა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 4 იანვარს ერევნის ცენტრში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. სახლის მაცხოვრებლებმა, მათ შორის ჰოვიკ ჰოვეიანმა და მისმა შვილმა ,,სომხეთის ელექტროხაზების" ადგილობრივ განყოფილებას საჩივილელად მიაკითხეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამტყდარი ჩხუბის შედეგად სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი თავის ტრავმებით საავადმყოფოში აღმოჩნდა.

გადამდგარი მინისტრი განმარტავს, რომ ჩხუბში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერია, რაც სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა. მას არ აუხსნია, რა მოხდა კონკრეტულად, თუმცა ამბობს, რომ შვილის დაცვას ცდილობდა – ,,როგორც მოქალაქე და როგორც მამა".

,,სომხეთის ელექტროხაზების" თანამშრომლებმა, რომლებსაც IWPR ტელეფონით დაუკავშირდა, კომენტარზე უარი განაცხადეს, თუმცა მომხდარი დაადასტურეს.

გამოძიება უკვე დაიწყო. ინციდენტის მეორე დღეს ჰოვეიანმა სავარაუდო გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, რომელიც პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა მაშინვე დააკმაყოფილა.

,,არ მსურს, ჩემი პარტიისა და მთავრობაში მყოფი ჩემი კოლეგების შესახებ ილაპარაკონ, რადგან ამგვარი სპეკულაციების შემთხვევები უკვე იყო. ამიტომ თანამდებობიდან გადადგომა გადავწყვიტე", – განაცხადა ჰოვიკ ჰოვეიანმა ,,ორინაც ერკირის" სხდომის შემდეგ.

,,ორინაც ერკირი", ,,რესპუბლიკური პარტია" და ნაციონალისტური პარტია ,,დაშნაკცუტიუნი" სომხეთის მმართველი კოალიციის წევრი სამი პარტნიორი პარტიაა. 2003 წელს მათ შორის დადებული შეთანხმების შედეგად ,,ორინაც იერკირს" კულტურის სამინისტრო ,,ერგო" – მომდევნო წელს ჰოვეიანი მინისტრი გახდა.

პარტიას ამ ინციდენტთან დისტანცირება სურდა. ,,გასაგებია, რომ ჰოვეიანის ნაბიჯი ადამიანური გრძნობით იყო ნაკარნახები – საკითხი მის ვაჟს ეხებოდა, მაგრამ ბატონი ჰოვეიანი პარტიის წევრია და ასეთი საქციელი ,,ორინაც ერკირისთვის" პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად მიუღებელია", – განუცხადა ,,ორინაც იერკირის" თავმჯდომარის მოადგილემ მერ შაგელდიანმა რადიო ,,თავისუფლებას".

სომხურ პრესაში გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ შემთხვევას შესაძლოა სამთავრობო კოალიციაში განხეთქილება მოჰყოლოდა. ოპოზიციის წარმომადგენლის სურენ სურანიაცის თქმით, ყოფილი მინისტრი განტევების ვაცი გახდა, რადგან კოალიციის წევრ პარტიებს შორის მუდმივი დაძაბულობა იყო.

,,ვფიქრობ, ,,ორინაც ერკირისთვის" ჰოვეიანის გადადგომა სიგნალი უნდა გახდეს. კოალიციის სხვა წევრები კი, თუ არ სურთ, მათი შიდა პრობლემები ამოტივტივდეს, ისე უნდა მოიქცნენ, თითქოს არაფერი მომხდარა", – თქვა მან.

თუმცა ,,დაშნაკცუტიუნის" წარმომადგენელმა ვოსტანიკ მარუქიანმა ჰოვეიანის გადადგომის გამო კმაყოფილება გამოთქვა, რადგან ამის შემდეგ კოალიცია უფრო მყარი იქნება.

2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვამ მეანაბრეების საკითხთან დაკავშირებით უთანხმოებები გამოავლინა. კოალიციაში არსებული დაძაბულობაც მაშინ გახდა აშკარა. კერძოდ, ვერ შეთანხმდნენ, ვის უნდა მიეღო კომპანსაცია საბჭოთა კავშირის დაშლამდე შემნახველ სალაროებში შეტანილი და შემდგომ დაკარგული თანხების გამო.

,,ორინაც ერკირი" საკომპენსაციო თანხის გაზრდას მოითხოვდა, რასაც პარტნიორებმა ,,პოპულიზმი" უწოდეს.

ყოფილი კულტურის მინისტრი პირველი ოფიციალური პირი არ არის, ვინც ასეთ უსიამოვნო სიტუაციაში მონაწილეობდა. 2004 წლის აპრილში მშენებლობის მინისტრი არა არამიანი გადადგა; ისიც ,,ორინაც ერკირის" წევრი გახლდათ. არამიანის მიერ თანამდებობის დატოვების მიზეზი მის შვილთან დაკავშირებული ინციდენტი გახდა. უმცროსმა არამიანმა ერევნის ერთ-ერთ კაფეში იარაღიდან გაისროლა და ხუთი ადამიანი დაჭრა. მოგვიანებით მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

გასული წლის აგვისტოში საგარეო საქმეთა მინისტრის ვარდან ოსკანიანის შვილი ერევნის ცენტრში 25 წლის მამაკაცს მანქანით დაეჯახა. მანქანა ახალი იყო და სამინისტროს ეკუთვნოდა. პრეზიდენტმა ქოჩარიანმა ოსკანიანი მკაცრად გააკრიტიკა, მაგრამ თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებია. სისხლის საქმის აღძვრა არც დაზარალებულს მოუთხოვია.

პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ,,ორინაც ერკირს" კულტურის მინისტრის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება ისევ მისცეს. ახალ მინისტრს იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში წარადგენენ.

,,რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარის მოადგილის, პარლამენტის განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის რანუშ ჰაკობიანის განცხადებით, ,,ეს ინციდენტი გაკვეთილი იქნება ყველასათვის – არა მხოლოდ მინისტრებისათვის".

www.iwpr.net



ჰაკობ ბერბერიანი

*სომხეთის კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი ჰოვიკ ჰოვეიანი*

# საწვავის ფასის ზრდამ აზერბაიჯანელთა შეშფოთება გამოიწვია

*დიზელის საწვავისა და ნავთის ღირებულების მოულოდნელი ზრდა მომხმარებელთა, მძღოლთა და გლეხთათვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა.*

ფატიმა მამედოვა,
ბაქო

აზერბაიჯანის მთავრობის გადაწყვეტილებით, ზოგიერთი ტიპის საწვავის ფასი თითქმის ორჯერ გაიზარდა, რამაც მთელ ქვეყანაში ფასთა ზრდის ჯაჭვური რეაქცია და შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

5 იანვრის საღამოს ქვეყნის სატარიფო კომისიამ 6 იანვრიდან ნავთობპროდუქტებზე, რომლებზეც მაღალი მოთხოვნაა, საცალო ფასის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. დიზელის საწვავისა და ნავთის ფასი ორჯერ გაიზარდა.

მთავრობა აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს შეესაბამებოდა და სამამულო ნავთობპროდუქტების ფასების მსოფლიო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანისა და ენერგეტიკის სექტორის ფარული სუბსიდირების შეწყვეტისთვის აუცილებელი იყო. ნავთობპროდუქტების ახალი ფასი დაახლოებით 40 ცენტია ერთ ლიტრზე, რაც მეზობელ ქვეყნებში არსებულ ფასებს მაინც საგრძნობლად ჩამორჩება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (არსნკ) ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფასების ზრდა ნავთობპროდუქტების იაფად შეძენისა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მსოფლიო ფასებზე გაცილებით იაფად გაყიდვის შემთხვევებს შეამცირებს. განცხადებაში ასევე ვკითხულობთ, რომ მსგავსი ბიზნესის არსებობა როგორც სახელმწიფო ნავთობკომპანიას, ისე ქვეყნის მთავრობას დიდ ზარალს აყენებდა. ამ მიზნით ქვეყნიდან ყოველთვიურად დაახლოებით 15 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი გადიოდა.

სახელმწიფო ნავთობკომპანია მოსახლეობას ჰპირდება, რომ ფასების ზრდა ხალხის დაბალშემოსავლიან ნაწილს არ შეეხება. კერძოდ, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები ნავთს დადგენილი ოდენობით მიიღებენ.

ეს დაპირება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ნუგეში არ აღმოჩნდა. ისინი ამბობენ, რომ მთავრობა დიდ ენერგეტიკულ რესურსს ფლობს, ფასებს კი ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე ზრდის.

,,ქალაქის ტრანსპორტისა და სატვირთო მანქანების უმრავლესობა დიზელის საწვავით სარგებლობს. ბუნებრივი იყო, რომ მაშინვე ყველაფრის ფასი გაიზარდა – წაგებაზე ხომ არავინ იმუშავებს? ჩემი პენსია კი არ შეცვლილა, თვეში კვლავინდებურად 45 დოლარს ვიღებ. ჩვენი მთავრობა, როგორც ყოველთვის, მხოლოდ თავის მოგებაზე ფიქრობს", – ამბობს ბაქოელი პენსიონერი საფირა გულიევა.

6 იანვრის დილას ბაქოს პრაქტიკულად ყველა სამარშრუტო ტაქსისა და ავტობუსის მძღოლმა მგზავრობის საფასური ორჯერ გაზარდა. დედაქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტი კი გაზრდილი ფასით მომუშავე მარშრუტების მფლობელებს დახურვით დაემუქრა. თავის მხრივ, მძღოლებმა ძველი ტარიფის არარენტაბელობის გამო მუშაობაზე უარი განაცხადეს.

,,მგზავრობის ახლანდელი, მიზერული საფასურის პირობებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, უბრალოდ, წამგებიანია. სანამ მთავრობა მგზავრობის ტარიფს არ გაზრდის, არ ვიმუშავებთ", – განუცხადა IWPR-ს ერთ-ერთმა გაფიცულმა მძღოლმა.

აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ჰეიდარ ბაბაევი, რომლის ინიციატივითაც ზემოთხსენებული გადაწყვეტილება მიიღეს, გაფიცულთა მოთხოვნებს ,,საწვავის ფასების ზრდაზე პირველად რეაქციას" უწოდებს.

,,ტრანსპორტზე ფასების ზრდის საფუძველი არ არსებობს. დღეს სატრანსპორტო საშუალებების ნაწილი დიზელის საწვავს მოიხმარს, ნაწილი კი – ბენზინს. დიზელის მომხმარებლები კი, ბენზინზე მომუშავე მანქანების პატრონებთან შედარებით მეტ შემოსავალს იღებდნენ. დიზელის საწვავის ფასის ზრდის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზანი ამ განსხვავების აღმოფხვრა და კონკურენციის გაძლიერებაც იყო", – განაცხადა ბაბაევმა.

თუმცა ბაქოსა და ქვეყნის დანარჩენ დასახლებულ პუნქტებს შორის ზოგიერთ მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების მკვეთრი დეფიციტი უკვე შეიმჩნევა.

,,სამსახურში ყოველდღე სუმგაითიდან (ბაქოდან დაახლოებით, 30 კილომეტრით დაშორებული ქალაქი) დავდივარ. მგზავრობას საათნახევარი სჭირდება, ახლა კი დამატებით ნახევარი საათი ავტობუსს უნდა ველოდო. ადრე ეს პრობლემა არ იყო – ავტობუსი ორ წუთში ერთხელ გადიოდა", – ამბობს 24 წლის ნიგიარ ისმაილოვა.

ბაქოს მერია ქალაქის შიგნით მგზავრობის საფასურის გაორმაგებაზე დათანხმდა, რის შემდეგ მძღოლებმაც სამუშაოდ გასვლა გადაწყვიტეს, მხოლოდ, იმ პირობით, რომ ფასები რეალურად გაიზრდებოდა.

ამ სიახლემ ქალაქის მცხოვრებლები კიდევ მეტად შეაშფოთა. ისინი უკვე საწვავისთვის დამატებითი ფულის შოვნაზე ზრუნავენ.

,,ადრე ყოველთვიურად ტრანსპორტზე 10 დოლარი მეხარჯებოდა, ახლა ეს ხარჯი 20 დოლარამდე გაიზრდება, ჩემი ხელფასი კი, დღეისთვის 100 დოლარია. მოვითხოვ, რომ მთავრობამ ფასების ზრდის კომპენსაციის სახით, ხელფასები ორჯერ გაგვიზარდოს", – ამბობს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი ტოფიკი.

მინისტრმა ჰეიდარ ბაბაევმა აღიარა, რომ საწვავის ფასის ზრდა ინფლაციის დონისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების მატებასაც გამოიწვევს, რადგან გლეხები საწარმოო საქმიანობაში უმთავრესად დიზელის საწვავს მოიხმარენ.

აზერბაიჯანის ფერმერთა კავშირის ხელმძღვანელმა სადიხ მურთუზაევმა აღნიშნა, რომ დიზელის საწვავის ფასის ზრდა გლეხებს, რომლებიც უკვე გაზაფხულის ხვნათესვისთვის ემზადებიან, საგრძნობლად დააზარალებს. მისი აზრით, წარმოება სამჯერ მაინც შემცირდება.

აზერბაიჯანში რელიგიურ დღესასწაულზე – ყურბან-ბაირამზე ხორცის ფასმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია.

,,ცხვრის ხორცის ფასი კილოგრამზე 6-8 დოლარი გახდა, მაშინ როცა, ადრე მას 4 დოლარზე იაფად ვყიდულობდი. 90-დოლარიანი ხელფასის პირობებში ამ დღესასწაულმა ჩემს ოჯახში ხორცისგან მომზადებული კერძების გარეშე ჩაიარა", – ამბობს 45 წლის მედდა გულნარა ჰუსეინოვა.

,,ცხვრის ხორცი განჯაქაბულის რაიონიდან ჩამოგვაქვს. ადრე სატრანსპორტო ხარჯების გამო საცალო გაყიდვისას კილოგრამზე 2 დოლარს ვამატებდით; ახლა კი ამ განაკვეთმა 4 დოლარამდე მოიმატა, რადგანაც გადამზიდავები ჩვენგან ორჯერ მეტი თანხის გადახდას მოითხოვენ", – ამბობს ხორცის გამყიდველი არზუ მამედოვი.

